# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 26 დეკემბერი 2007 №299 (3222) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კონტრაქტუალური ტოპმომენტები

### კლაუსის შამპანური ჯერაც მაცივარშია





## მხიარული ქირისუფალი ენდრიუ მერთენსი ქართველებს ურჩევს: ითამაშეთ, ითამაშეთ, ითამაშეთ!

ბაჩო სვანიძის ინტერვიუ ენდრიუ მერთენსთან

# ჯაკობიამ ვორსკლა გააოფიციალურა



**ლაშა ჯაკობია** ოფიციალურად გახდა პოლტავის „ვორსკლას“ ფეხბურთელი.

მოლაპარაკებას დიდი დრო არ წაუღია და ქართველმა ფორვარდმა ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა კლუბთან, რომელიც უკრაინის უმაღლეს ლიგაში ბოლოდან მესამე ადგილზეა და არგავარდნისთვის იბრძვის.

იმედია, ამით ლაშას უთამაშებელი პერიოდიც დასრულდება. არა გვგონია, მოკრძალებულ „ვორსკლაში“ ძირითად შემადგენლობაში ადგილი ვერ დაიმკვიდროს, რასაც ხარკოვის „მეტალისტში“ ვეღარ ახერხებდა.

საქართველოს ნაკრების თავდამსხმელი 8 იანვარს შეუერთდება ახალ გუნდს.

**ილია ნანობაშვილი**

# ვფიქრობ, გიორგი მაკარიძე ფსიქოლოგიურად არ გაფუჭდეს

**რამდენიმე წლის წინ საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე მეკარეთაგან ერთ-ერთი საუკეთესო ზურაბ ბათიაშვილი იყო. ზურა ბოლოს ბოლნისის „სიონში“ თამაშობდა, ახალი სეზონის დაწყებამდე კი აზერბაიჯანში წავიდა, იქაურ „სტანდარტში“ თითქმის გადასული იყო, თუმცა მოულოდნელად საქართველოში დაბრუნდა და პირველლიგელ აგარის „მეშაქრეს“ შეაფარა თავი. თავის დროზე საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მეკარესთან საუბარი სწორედ ამ თემით დავიწყეთ...**



— „სტანდარტთან“ კონტრაქტი უნდა გამეფორმებინა. რამდენიმე დღეში ჩემპიონატიც იწყებოდა და ხელმძღვანელებთანაც შეთანხმებული ვიყავი, თუმცა ერთ-ერთი აზერბაიჯანული გუნდი დაიშალა და მეკარე იქიდან მოვიდა, მე კი განაცხადში აღარ შემიყვანეს და იძულებული გავხდი, წამოვსულიყავი.

— და პირველლიგელ აგარის „მეშაქრეში“ გადახვედი...

— ამ გუნდის მთავარი მწვრთნელი გოჩა ტყებუჩავაა და პირველლიგელის კვალობაზე ნორმალური სიტუაციაა. „მეშაქრეში“ 9 მატჩი ვითამაშე. გუნდის ხელმძღვანელებს უმაღლეს ლიგაში გადასვლა სურთ და ვნახოთ, რა იქნება.

— მეორე წრეშიც „მეშაქრეში“ იქნები?

— სიმართლე გითხრათ, სერიოზულად ვფიქრობ საზღვარგარეთ წასვლაზე. არის რამდენიმე ვარიანტი და ჯერ ვერ გადამიწყვეტია.

— საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მოთამაშე კლუბებიდან არ ყოფილა წინადადება?

— საქართველოში შემოთავაზებები გვიან იციან ხოლმე. ასე რომ, ჯერ ადრეა...

— ჩვენთან დიდი ხანია, სტაბილური მეკარის პრობლემაა. როგორ ფიქრობ, ეს რისი ბრალია? მეკარეებთან მუშაობა არასწორად მიდის თუ რა ხდება?

— ვერ ვიტყვი, რომ საქართველო არ არიან მეკარეების მწვრთნელები. მეკარეს ბავშვობიდანვე უნდა ჰყავდეს აღმზრდელი. როგორც სხვა ამპლუის ფეხბურთელებს, ასევე მეკარესაც სჭირდება ტექნიკის დახვეწა. ნახეთ, უკვე რამხელა მნიშვნელობა ენიჭება ფეხით თამაშს — ამაზე ბავშვობიდან უნდა იმუშაო. ზოგი უმაღლესი ლიგის გუნდს მეკარეთა მწვრთნელი საერთოდ არ ჰყავს, რაც არ შეიძლება. და ერთიც: მეკარე ხალიჩაზე ვერ გაიზრდება!

— ბოლო მატჩებია, საქართველოს ეროვნული ნაკრების კარში ჭაბუკი გიორგი მაკარიძე დგას. მასზე რას იტყვი?

— პერსპექტიული ბიჭია. ჯერ ძალიან ახალგაზრდაა და გარკვეული ეტაპები კიდევ უნდა გაიაროს. ჩვენთან თუ კარში გოლი გავიდა, ყველა მეკარეს ბრალდება და ვშიშობ, ეს ბავშვი ფსიქოლოგიურად არ გაფუჭდეს.

**ნუკრი ლოლაძე**

# რევიშვილს კარში კოზკო ჩაუყენეს



**საქართველოს** ნაკრების მეკარე ნუკრი რევიშვილს ახალი და საკმაოდ სერიოზული კონკურენტი გამოუჩნდა — სერგეი კოზკომ ყაზანის „რუბინთან“ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

კოზკო 2002-04 წლებშიც თამაშობდა „რუბინში“ და ძირითად მეკარედ ითვლებოდა.

გეხსომებათ, საშინელი ავარიის შემდეგ რევიშვილი თავის მძიმე შერყევას დღემდე მკურნალობს და ძნელი სათქმელია, როდის მოახერხებს ფორმის აღდგენას.

როგორც ჩანს, ყაზანელებმაც სწორედ ამის გამო იმუშავეს კოზკოს დაბრუნებაზე.

**ბაჩა შალამბერიძე**



**გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში პრესკონფერენცია გამართა საკლუბო ლიცენზირების მენეჯერმა ბაქარ ჟორდანიამ. მან დეტალურად განმარტა, რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს კლუბებისთვის ლიცენზიების აღებას — ეს სავალდებულოა უეფას საკლუბო ტურნირებში და ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მონაწილეობისთვის...**

# მანახე შენი ლიცენზია

2008-09 წლების ლიცენზირებაში 22 კლუბი მიიღებს მონაწილეობას — ამჟამად უმაღლეს ლიგაში მოთამაშე 14-ივე გუნდი და 8 პირველლიგელი („გაგრა“, „მეშაქრე“, „კახეთი“, „მაღაროელი“, „მარტვილი“, „ტორპედო“, „კოლხეთი“, „ხობი“).

ეროვნული ჩემპიონატისთვის ლიცენზირებაში მონაწილეობისთვის გუნდი ერთი წლის დარეგისტრირებული უნდა იყოს, უეფას ტურნირებისთვის კი 3 წელია აუცილებელი მინიმუმი.

სალიცენზიო განაცხადის, შესაბამისი დოკუმენტაციისა და სალიცენზიო გადასახადის გადახდის დამადასტურებელი საბუთების წარდგენა 2008 წლის 31 მარტამდე უნდა მოხდეს.

ფინანსური დოკუმენტაციის კრიტერიუმებთან შესაბამისობის შემოწმება და წერილობითი დასკვნები კი 2008 წლის 25 აპრილს შედგება.

ლიცენზირების კომიტეტის მიერ გადაწყვეტილების მიღების ვადა 2008 წლის მაისია, აპელაციის შეტანისა კი 2008 წლის 25 მაისი, რასაც სამ დღეში განიხილავენ.

უეფასთვის სალიცენზიო გადაწყვეტილება 2008 წლის 2 ივნისს უნდა გახდეს ცნობილი.

2008-09 წლების ეროვნულ ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მწვრთნელად ვერ იმუშავებს ვერც ერთი ის სპეციალისტი, რომელსაც არ აქვს A ლიცენზია (ასეთი დღეს საქართველოში 50 კაცია).

B ლიცენზია 200-ზე მეტ მწვრთნელს აქვს და მათ თანაშემწეებად მუშაობა და ასაკობრივი გუნდების გაწვრთნა შეეძლებათ.

2008-09 წლებისთვის დიდი ყურადღება დაეთმობა სტადიონების ლიცენზირებასაც. ამჟამად საქართველოში სამი სტადიონია, უეფას მოთხოვნებს რომ აკმაყოფილებს — „ეროვნული“, რომელსაც მესამე კატეგორია აქვს მინიჭებული, „მიხეილ მესხი“ და „ფოლადი“ (მეორე კატეგორია).

**ნუკრი ლოლაძე**

# ზესტაფონმა ბაკურიანში იჯარიანებიც წაიყვანა



**რამდენიმე** დღეა, „ზესტაფონმა“ მეორე წრისთვის მზადება დაიწყო და ბაკურიანსაც ეწვია. გუნდი სრული შემადგენლობით ემზადება.

თემურ მახარაძემ ბაკურიანში იახლა „ცხინვალში“ განათხოვრებული ფეხბურთელებიც — დავით ჯანელიძე, ლაშა ბახტურიძე და ირაკლი ძარია.

პირველ შეკრებას „ზესტაფონი“ 30 დეკემბერს დაასრულებს, შემდეგ კი მწვრთნელ-ფეხბურთელები საახალწლოდ შეისვენებენ და 4 იანვარს განაახლებენ მზადებას. სავარაუდოდ, ისევ ბაკურიანში, იანვრის ბოლოს კი ანთალიაში წავლენ ორკვირიან შეკრებაზე.

**ნუკრი ლოლაძე**

# დილა და ფიქრები

**დარჩენა** — ასეთია გორის „დილას“ საამსეზონო თავსატეხი.

საქართველოს ჩემპიონატების საწყის ათწლეულში „დილა“ სტაბილურ გუნდად ითვლებოდა და ცხრილის შუაგულში ადგილი გარანტირებული ჰქონდა. ბოლო წლებში კი ქართლელებს პრობლემები მიეძალათ და ერთხანს დაქვეითდნენ კიდეც.

„დილას“ ამ ჩემპიონატში „ბრძოლა არსებობისთვის“ უწევს და მეორე წრეში შეეცდება ამის შესრულებას.

„დარჩენაზე ფიქრი — საამსეზონოდ სხვა ამბიცია გუნდს არ გააჩნია, ამ ამოცანის შესრულება კი არ უნდა გაგვიჭირდეს. საზღვარგარეთ და ქალაქის გამგეობა გვერდით გვიდგანან. რამდენიმე კარგი ფეხბურთელის დამატებასაც ვაპირებთ — გუნდი აუცილებლად გაძლიერდება“ — გვითხრა „დილას“ მწვრთნელმა ზურაბ ხორგუაშვილმა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

## საქართველოს 19 ჩემპიონატი
## უმაღლესი ლიგა კალენდარი

### მეორე წრე

17-18.02.2008
თასის 1/4 ფინალი

**XIV ტური**

23.02.2008, შაბათი
ბათუმი – დილა
მგლები – მესხეთი
სპარტაკი – სიონი
დინამო – ოლიმპი
24.02.2008, კვირა
ამერი – ლოკომოტივი
მერანი – ბორჯომი
ვიტ ჯორჯია – ზესტაფონი

**XV ტური**

01.03.2008, შაბათი
ზესტაფონი – მესხეთი
სიონი – დინამო
ლოკომოტივი – ვიტ ჯორჯია
ბორჯომი – სპარტაკი
02.03.2008, კვირა
ოლიმპი – ბათუმი
დილა – ამერი
მერანი – მგლები

**XVI ტური**

07.03.2008, პარასკევი
ბათუმი – სიონი
მესხეთი – ლოკომოტივი
მგლები – ზესტაფონი
ამერი – ოლიმპი
08.03.2008, შაბათი
ვიტ ჯორჯია – დილა
სპარტაკი – მერანი
დინამო – ბორჯომი

**XVII ტური**

14.03.2008, პარასკევი
ოლიმპი – ვიტ ჯორჯია
ლოკომოტივი – ზესტაფონი
მერანი – დინამო
სპარტაკი – მგლები
15.03.2008, შაბათი
სიონი – ამერი
დილა – მესხეთი
ბორჯომი – ბათუმი
18.03.2008.
თასის 1/4 ფინალი

**XVIII ტური**

22.03.2008, შაბათი
ბათუმი – მერანი
ვიტ ჯორჯია – სიონი
მგლები – ლოკომოტივი
მესხეთი – ოლიმპი
23.03.2008, კვირა
ამერი – ბორჯომი
დინამო – სპარტაკი
ზესტაფონი – დილა

**XIX ტური**

29.03.2008, შაბათი
დილა – ლოკომოტივი
ოლიმპი – ზესტაფონი
ბორჯომი – ვიტ ჯორჯია
მერანი – ამერი
30.03.2008, კვირა
სპარტაკი – ბათუმი
სიონი – მესხეთი
დინამო – მგლები

**XX ტური**

04.04.2008, პარასკევი
ბათუმი – დინამო
ზესტაფონი – სიონი
ამერი – სპარტაკი
ლოკომოტივი – ოლიმპი
05.04.2008, შაბათი
ვიტ ჯორჯია – მერანი
მესხეთი – ბორჯომი
მგლები – დილა
08-09.04.2008
თასის 1/2 ფინალი

**XXI ტური**

12.04.2008, შაბათი
მერანი – მესხეთი
ბათუმი – მგლები
სპარტაკი – ვიტ ჯორჯია
სიონი – ლოკომოტივი
13.04.2008, კვირა
დინამო – ამერი
ოლიმპი – დილა
ბორჯომი – ზესტაფონი

**XXII ტური**

18.04.2008, პარასკევი
დილა – სიონი
მესხეთი – სპარტაკი
ვიტ ჯორჯია – დინამო
ზესტაფონი – მერანი
19.04.2008, შაბათი
ამერი – ბათუმი
ლოკომოტივი – ბორჯომი
მგლები – ოლიმპი

**XXIII ტური**

25.04.2008, პარასკევი
ბათუმი – ვიტ ჯორჯია
სიონი – ოლიმპი
ამერი – მგლები
26.04.2008, შაბათი
ბორჯომი – დილა
დინამო – მესხეთი
მერანი – ლოკომოტივი
სპარტაკი – ზესტაფონი

**XXIV ტური**

02.05.2008, პარასკევი
ზესტაფონი – დინამო
ვიტ ჯორჯია – ამერი
ოლიმპი – ბორჯომი
03.05.2008, შაბათი
მესხეთი – ბათუმი
დილა – მერანი
ლოკომოტივი – სპარტაკი
მგლები – სიონი
07.05.2008, ოთხშაბათი
თასის 1/2 ფინალი

**XXV ტური**

11.05.2008, კვირა
ბორჯომი – სიონი
ვიტ ჯორჯია – მგლები
სპარტაკი – დილა
დინამო – ლოკომოტივი
მერანი – ოლიმპი
ბათუმი – ზესტაფონი
ამერი – მესხეთი

**XXVI ტური**

18.05.2008, კვირა
ოლიმპი – სპარტაკი
ზესტაფონი – ამერი
მგლები – ბორჯომი
ლოკომოტივი – ბათუმი
დილა – დინამო
სიონი – მერანი
მესხეთი – ვიტ ჯორჯია
26 მაისი, 2008
თასის ფინალი



„ბორჯომმა" პირველი წრე მეოთხე ადგილზე დაასრულა. კაცმა არ იცის, რა იქნება გაისად, თუმცა იმას ვერავინ იტყვის, ვლადიმერ ხაჩიძეს ხელწამოსაკრავი გუნდი ჰყავდაო — ბორჯომში თამაში ყველს გაუჭირდა, ლიდერებმაც ბლომად ქულები დაკარგეს იქ. ბორჯომელთა წარმატებაში თავისი წვლილი თბილისის „დინამოდან" განათხოვრებულმა ლევან აკობიამაც შეიტანა. ახლა ლევანი მშობლიურ ზუგდიდში ატარებს შვებულებას და ჩვენც იქ შევეხმიანეთ...

# რამდენი გაურკვევლობაა ქართულ ფეხბურთში?

## აკობია ერთბაშად ორი გუნდიდან წავიდა

— ახალ წელს შინ შევხვდები. აქ ინდივიდუალურადაც ვემზადები და მერე ვნახოთ, რა იქნება...

— „ბორჯომში" იჯარა დაგიმთავრდა და, რამდენადაც ვიცით, „დინამოსთანაც" ამოიწურა კონტრაქტის ვადა...

— „ბორჯომთან" 2 დეკემბრამდე მქონდა ხელშეკრულება. იქიდან თითქმის ყველა ფეხბურთელი წამოვიდა და მომავალში რა იქნება, ჯერ ვერავინ ამბობს. „დინამოსთანაც" აღარ მაქვს მოქმედი კონტრაქტი და უკვე თავისუფალი აგენტი ვარ.

— ახლა რას აპირებ?

— უცხოეთიდან მაქვს რამდენიმე შემოთავაზება, თუმცა კონკრეტულად ჯერ ვერაფერს გეტყვით.

— ქართული კლუბებისგან არ მიგიღია წინადადება?

— ორი გუნდი არის დაინტერესებული და ყველაფერი ნაახალწლევს გაირკვევა.

— არ არის შანსი, შენი ქალაქის გუნდში, „მგლებში" ითამაშო?

— ამ ეტაპზე აქაც გაურკვევლობაა და არავინ იცის, რა იქნება.

— „ბორჯომს" კარგი პირველი წრე ჰქონდა, თუმცა ტრადიციად იქცა, რომ ამ ქალაქში ყოველ ექვს თვეში ახალი გუნდი უნდა შეიქმნას. იქ გატარებულ პერიოდს როგორ გაიხსენებ?

— ძალიან გულდასაწყვეტია, რომ „ბორჯომი" ისევ დაიშალა. ერთი კვირის შეკრებილნი ვიყავით, მაგრამ ყველასთან მაგარი ბრძოლები გავმართეთ. კარგი კონტინგენტი შეიკრიბა და მეგობრული გუნდი იყო. სწორედ ეს გახდა ჩვენი წარმატების ძირითადი მიზეზი. ღმერთმა ჰქნას, ბორჯომში ფეხბურთმა იარსებოს, ეს ქალაქი ამას იმსახურებს.

**ნუკრი ლოლაძე**


ჩაერთეთ 3 ლარად!

საავანსო ბალანსი 3 ლარი



ტარიფი «მეგობრები»

სატარიფო გეგმა ძალაშია 31.01.2008 - მდე

დაგვიკავშირდით
ქალაქის ქსელიდან: 20 0611
მობილურიდან: 0611

www.beeline.ge

ბილაინი

# კლაუსის ხელში, სანტა კლაუსის მოლოდინში...




**ახლა, როცა საქართველოში კლაუს ტოპმიოლერის კიდევ ორი წლით დარჩენა გადაწყვეტილია, მოკლედ მიმოვიხილოთ მისი სანაკრებო გზა: მოკლედ იმიტომ, რომ სათქმელი ბევრია და როცა მთელ ციკლს მოედები, თავის ამხანაგურებიანად, ყველა დეტალს ვერ ჩაატევ...**

### მალტაზე: გაცნობა, მაგრამ ვერგაცნობა

ყველაფერი დაიწყო ულმობელი კენჭისყრით და სანამ კენჭების ნაცვლად, ლოდები ამოვიდოდა, მანამდე თამამი განცხადებები ისმოდა, შესარჩევი ჯგუფიდან უნდა გავიდეთო, მაგრამ ნაკენჭისყრევს (თუ ნალოდისყრევს) ტოპმიოლერისგან და ფედერაციის თავკაცებისგანაც ითქვა — ჯერ გუნდია ასაწყობი, ნულიდან ვიწყებთ საქმესო...

მართლაც, თებერვლის ბოლოს მალტის ტურნირზე ჰერ კლაუსს მეტწილად უწვერული ბიჭების წაყვანა მოუხდა. ეს ის ბიჭები არიან, რომლებიც გაიოზ დარსაძის მწვრთნელობისას დაწინაურდნენ ეროვნულ გუნდში.

და, ტოპის არაოფიციალური დებიუტი — 1:5 მოლდოვის ახალგაზრდულ ნაკრებთან. ეს მატჩი ფიფას დღეებში არ იყო და ამიტომაც არ არის შეტანილი იფიციალურ სიაში, ისევე, როგორც შარშან ოქტომბერში როსტოკის „ჰანზასთან" შეხვედრა, რომელიც 0:0 დასრულდა.

მალტაზევე, მოლდოვასთან წაქცევიდან სამ დღეში ჩვენმა ნაკრებმა მასპინძლებს 2:0 მოუგო და ჰერ კლაუსი გახარებული ჩანდა, გუნდმა ვარჯიშზე ნასწავლი თამაშზე კოხტად გადაიტანაო.

### გაცნობა და იმედიანი ზაფხული

„პირველად ნაკრების ხეირიანი შეკრება და თითქმის ყველა წამყვანი ფეხბურთელის გაცნობა მაისის ბოლოს, ავსტრია-გერმანიაში მოვახერხე" — თქვა ამასწინათ კლაუს ტოპმიოლერმა და მართალიც გახლდათ.

ეს იყო ახალ ზელანდიასთან და პარაგვაისთან ამხანაგურ მატჩებში, სადაც გუნდს კახა კალაძე და შოთა არველაძე შეემატნენ. მალტის ტურნირისა არ იყოს, ქართველებმა კვლავ ჩააგდეს პირველი თამაში, ახალ ზელანდიასთან 1:3 წააგეს და ისე მოხდა, რომ „კივებმა" საერთოდ პირველად მოუგეს ევროპულ გუნდს ევროპაში. წაგება ენახეთ პარაგვაისთანაც (0:1), მაგრამ აქ გუნდმა უფრო გამართულად ითამაშა და ბლომად საგოლე მომენტებიც შექმნა.

ჰერ კლაუსი დაკვირვებებს აგრძელებდა: ზოგი ფეხბურთელი იმედებს უმართლებდა, ზოგი — პირიქით, ზოგს კი, საერთო აზრით, დაუმსახურებლად არ იძახებდა გუნდში.

და მოახლოვდა 16 აგვისტოც. დაკვირვებების დრო აღარ იყო, ნაკრები შესარჩევ ციკლს იწყებდა. დაწყება ბლიც-კრიგივით გამოვიდა, ჩვენებმა ფარერები 6:0 მიანგრიეს და იმედი გაჩნდა, რომ გალამაზებულ „ეროვნულზე" საფრანგეთის ნაკრებს ნერვები დააწყდებოდა.

### ტრავმების, წითლების და უიღბლობის კასკადი

ნამეტანი ნავსიანი გამოდგა ნაკრებისთვის სექტემბერ-ოქტომბერი. საფრანგეთთან მატჩი 16 წუთში უკვე წაგებული იყო და ძნელია, ასეთ დროს რაიმეს იმედი გქონოდა კაცს. ერთი კია, ტოპმიოლერმა ავანტიურისტული გადაწყვეტილება მიიღო, საფრანგეთთან სამი ფორვარდით თამაშს ბრაზილიაც კი ვერ ბედავს.

აქედან ოთხ დღეში კიევში ჩასულმა საქართველომ ციკლის საუკეთესო გასვლითი მატჩი ჩაატარა. ტემპი, ბრძოლა, დაცვიდან შეტევაზე (და პირიქით) დროულად გადასვლა, ვარჯიშზე დამუშავებული გოლი — ყველაფერი იყო, გარდა ორისა. ეს ორი რამ კი დამღუპველი აღმოჩნდა: საგოლე მომენტების განიავება და მეორე სართულზე უნიათო თამაში.

ერთი თვეც და, ჰერ კლაუსი თვისტომ ნაკრებთან დამარცხდა. ქართველებმა გერმანიასთან (0:2) პირველი ტაიმის 5-10-წუთიდან მონაკვეთში ილაღეს, მაგრამ ვერც კლასი ეყოთ და თანაც, რამდენიმე დღეში თბილისში მსოფლიოს ჩემპიონი იტალია იყო ჩამოსასვლელი.

...60 წუთის განმავლობაში საქართველოს განახევრებული ნაკრები (ტრავმები, დისკვალიფიკაციები) აპენინელებს ტოლ-სწორად ეთამაშებოდა, მაგრამ ჯაბა კანკავას გაძევება და გიორგი ლომაიას კარში ორი გოლის გასვლა ერთი იყო.

„დარწმუნებული ვარ, კალაძე რომ გვყოლოდა, უკრაინასთან, სულ მცირე, არ წავაგებდით" — ტოპის სიტყვები უკრაინასთან ნამატჩევს.

„დარწმუნებული ვარ, კანკავა რომ უსამართლოდ არ გაეწითლებინათ, არ წავაგებდით" — ტოპის სიტყვები იტალიასთან ნამატჩევს.

### ურუგვაი და თურქეთი...

...მაგრამ ჰერ კლაუსმა ისიც დაასკვნა, რომ რაღაც შესაცვლელი იყო. ურუგვაისთან (2:0) და თურქეთთან (1:0) მიჯრით ამხანაგურებში რამდენიმე ახალი ფეხბურთელი, გამოიძახა და მათაც გაამართლეს: დავით სირაძემ, ზაალ ელიავამ და ლადო ბურდულმა.

ნაკრებმა ჩამოყალიბებული სახე მიიღო, თუმც ისიცაა, რომ ამხანაგური ამხანაგურია, ეს ფეხბურთის ანა-ბანაა და ამაზე კამათი არც ღირს. ამას იმიტომ ვამბობთ, რომ გვგონია, ურუგვაი-თურქეთთან მოგებები გადაჭარბებულად შეფასდა.

კი, გამოერია ლუქსემბურგთან და ახალ ზელანდიასთან სამარცხვინო მატჩები, მაგრამ მთლიანობაში, ტოპის გუნდმა ტესტებში უფრო კარგი შედეგი აჩვენა, ვიდრე ოფიციალურებში.

კარგად ჩატარებული სპარინგის მერე მოდიოდა ოფიციალური მატჩი და იმედიც იფერფლებოდა — რამდენჯერმე მოხდა ასე...

### დამზაფრავი სერია

24 მარტიდან 15 აგვისტომდე ნაკრებმა ხუთი მატჩი გამართა, აქედან სამი წააგო, ერთი მოიგო და ერთიც ფრედ დაასრულა, მაგრამ ამ არწაგებულებშიც კი ძალიან ცუდი თამაში აჩვენა. გავიხსენოთ? ფარერებთან მოგებას (3:1) სამი ქულის მეტი, კარგი არაფერი მოუტანია, ხალხი დაზაფრული ტოვებდა ეროვნულ სტადიონს, ხოლო ლუქსემბურგში ფრეს, მართლაც რომ მოხერხება უნდოდა. წაგებულები კი... შოტლანდიასთან ბრძოლა და ბოლო წუთზე შეცდომის გამო მარცხი (1:2), ლიტვასთან მორიგი „არ გაგვიმართლა" (0:1) და საფრანგეთთან იოლად გადარჩენა — 0:1-ზე მეტი არ დავთმეთ.

უკვე აშკარად იდგა პრობლემა: მაღალი კლასის თავდამსხმელი. შოთა არველაძეს შემცვლელი სჭირდებოდა და დღესაც ძალიან სჭირდება...

### მეკარე: ვნახეთ. თუ უნდა ვნახოთ?

მგონი, არავის აღმოუჩენია ახალი ამერიკა, როდესაც ჯერ გრიგოლ ჭანტურიამ, მერე კი გიორგი ლომაიამ ეზოს მეკარისთვის ასაღები ბურთი გაუშვეს. ძლიერი, სტაბილური მეკარის პრობლემა თითქმის სულ იყო ნაკრებში და ერთი პერიოდი უცხოელი გოლკიპერის ჩამოყვანაზეც მიდიოდა საუბარი, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა...

ბოლო წვეთი ანდრეა პირლოს ჯარიმა იყო, რომელზეც ლომაიამ უცნაური რეაგირება გააკეთა, გოლი გაუშვა და ტოპმიოლერმაც გაბედა — 17 წლის ნიჭიერ გიორგი მაკარიძეს აუნთო მწვანე შუქი. უშეცდომო არც მაკარიძე ყოფილა, თანაც მისი ასაკიც დასაფიქრებელია.

### კონფლიქტები

დაიწყო გოგიტა გოგუათი, გაგრძელდა მიხეილ აშვეთიათი, დავით მუჯირით და ლადო ბურდულით, დამთავრდა ზურაბ ხიზანიშვილით — ეს ის ფეხბურთელები არიან, რომლებთანაც კლაუს ტოპმიოლერს გარკვეული უთანხმოება ჰქონდა (ან აქვს). უთანხმოებები ბოლოლა ნაკრებებს ასუსტებს და საქართველოს რას უზამს, ხომ წარმოგიდგენიათ?!

ამათგან მხოლოდ ხიზანიშვილმა თქვა ხმამაღლა თავისი სათქმელი, თუმც სიაში არ გვიხსენებია ალექსანდრე იაშვილი, რომელიც ასევე გაკვირვებულია, რატომ არ უხსნის ტოპი გამოუძახებლობის მიზეზს.

რა თქმა უნდა, ცალმხრივად არც მწვრთნელს გავამტყუნებთ და არც ფეხბურთელებს, მაგრამ თავისთავად ცუდია, ასეთი ფაქტები რომ ხდება.

„ალბათ ბოლო შანსიღა დამრჩა, დიდ ტურნირზე ვითამაშო. ასეთი გაუგებრობები ამ ოცნების ასრულებაში ხელს შემიშლის და ნამდვილად არ ვაპირებ ამასთან შეგუებას" — გვითხრა ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა ლევან კობიაშვილმა.

### დალევს ტოპი შამპანურს?

არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ 16–17 წლის ასაკში გიორგი ქინქლაძესა და ძმებ არველაძეებსაც არ უმღერებიათ ბურთი ლევან ყენიასავით. ლიტვასთან მისი თამაშის ყურება ერთი ბედნიერება იყო და როგორ გინდა, ამ ბიჭზე თქვა, ნაკრებში თამაში ნაადრევიაო.

ლევან მჭედლიძემ, სხვა თუ არაფერი, შოტლანდიასთან მშვენიერ მატჩში გოლი გაიტანა, იტალიური „ემპოლის" ძირითად გუნდსაც უშინაურდება.

გიორგი მაკარიძეზე კი უკვე ვთქვით...

სამივე მათგანი 1990 წელსაა დაბადებული და არა გვგონია, ანალოგი არსებობდეს, სამი ასეთი ფეხბურთელის ძირითადში დაყენებით შოტლანდიის დარი გუნდისთვის მოეგო ვინმეს.

კლაუს ტოპმიოლერს რომ რისკი უყვარს, ეს აშკარად გამოჩნდა ჭაბუკების ნდობაში. საინტერესო ისაა, შამპანურს თუ დალევს ამ რისკით...

თუმც ეს უკვე მომდევნო შესარჩევი ციკლის თემაა...

**ილია ნანობაშვილი**

## საქართველოს ეროვნული ნაკრები კლაუს ტოპმიოლერის მწვრთნელობისას

| | | | |
|---|---|---|---|
| სულ: | 22 მატჩი | +7=4-11 | 25:27 |
| ოფიციალური: | 12 მატჩი | +3=1-8 | 16:19 |
| ამხანაგური: | 10 მატჩი | +4=3-3 | 9:8 |

### სულ ითამაშა 59-მა ფეხბურთელმა

16 — ზურაბ მენთეშაშვილი
15 — დავით კვირკველია
14 — ზურაბ ხიზანიშვილი, ჯაბა კანკავა, ლევან ცქიტიშვილი
13 — გიორგი ლომაია, გიორგი დემეტრაძე
12 — ლაშა სალუქვაძე
11 — კახა კალაძე, მალხაზ ასათიანი, გიორგი შაშიაშვილი, დავით მუჯირი, ალექსანდრე იაშვილი
10 — ოთარ მარცვალაძე, ლევან კობიაშვილი, გოგიტა გოგუა
9 — დავით სირაძე, ილია კანდელაკი
7 — ოთარ ხიზანეიშვილი
6 — ლევან ყენია, ლაშა ჯაკობია, შოთა არველაძე
5 — ლადო ბურდული, მათე ღვინიანიძე, ზაალ ელიავა, კახა ალადაშვილი
4 — გიორგი მაკარიძე, ლევან მჭედლიძე, ვასილ გიგიაძე, გრიგოლ ჭანტურია
3 — ნუკრი რევიშვილი, ალექსანდრე კვახაძე
2 — გიორგი განუგრავა, გიორგი ფოფხაძე, გიორგი გახოკიძე, შოთა გრიგალაშვილი, გიორგი დეკანოსიძე, მიხეილ აშვეთია, დიმიტრი ტატანაშვილი, ნიკა გელაშვილი
1 — ამირან სანაია, დავით მჭედლიშვილი, ლევან მაღრაძე, გიორგი სეთურიძე, კახა მკავანაძე, დავით იმედაშვილი, ალექსანდრე ამისულაშვილი, დავით ლომაია, მირზა ბულავა, კახა მახარაძე, გიორგი ნუგზარის ძე ჭელიძე, სანდრო კობახიძე, ალექსი ბენაშვილი, გრიგოლ დოლიძე, დავით ბოლქვაძე, რევაზ გოცირიძე, ირაკლი მოდებაძე, რატი წინამძღვრიშვილი, ზურაბ იონანიძე

### მეგოლეები

6 — შოთა არველაძე
4 — დავით სირაძე
3 — ალექსანდრე იაშვილი, ლევან კობიაშვილი
2 — ჯაბა კანკავა
1 — ლაშა სალუქვაძე, დიმიტრი ტატანაშვილი, გიორგი შაშიაშვილი, გიორგი დემეტრაძე, დავით მუჯირი, ოთარ მარცვალაძე, ლევან მჭედლიძე

# მხოლოდ ხუთი?

## დროგბას გრანტის სამშობლოდან მიაკითხეს



„ჩელსიდან" ჟოზე მაურინიუს წასვლის შემდეგ გუნდში ერთადერთმა ფეხბურთელმა ჩამოცრემლა. ცნობილია, რომ ამ ამბავმა ყველაზე მეტად დიდიე დროგბა გაანაწყენა. კოტდივუარელმა ფორვარდმა ისიც თქვა, იანვარში წავალო. მერე გადაიფიქრა და სეზონის ბოლომდე დარჩენა გადაწყვიტა. მაურინიუ ავრაამ გრანტმა შეცვალა და „ჩელსიში" ვითარებაც ნელ-ნელა დალაგდა. დიდიე დროგბამ ორი კვირის წინ მუხლზე ოპერაცია გაიკეთა და ახლა მკურნალობს. ებრაულმა გაზეთმა „ედიოტ ახრონოტმა" ნაოპერაციები დროგბა მოიხელთა და ინტერვიუ სთხოვა

**— ავრაამ გრანტის დანიშვნის მერე პრესაში თითქმის ყოველდღე წერდნენ, რომ თქვენ უკმაყოფილო ხართ და გუნდიდან წასვლით იმუქრებით...**

— ვერ ვილაპარაკებ ყველაფერზე, რასაც ჩემი სახელით აქვეყნებდნენ. „ჩელსიში" ბედნიერი ვარ, გუნდისთვის ვიბრძოდი და ნებისმიერ მატჩში ბოლომდე ვიხარჯებოდი.

**— იმასაც ამბობდნენ, რომ „ვარსკვლავები" გრანტის წინააღმდეგ აჯანყებას აპირებდნენ, რომლის მოთავეც თქვენ იყავით...**

— მაურინიუს წასვლა ძალიან განვიცადე და ეს ყველასთვის უმძიმესი მომენტი იყო, მაგრამ პროფესიონალები ვართ და კრიზისი გადავიტანეთ. სამწუხაროდ, ეს კრიზისი ისეთი ქულების დაკარგვად დაგვიჯდა, რომლებსაც მაურინიუს ხელში არ გავფანტავდით, მაგრამ მწვრთნელთა ცვლილების ფასი ასეთი იყო და გუნდმა სულ მალე რწმენა დაიბრუნა.

**— როგორია გრანტის ხელში ცხოვრება?**

— ვითარება უკეთესობისკენ იცვლება. ფეხბურთელები საქმეს კარგად ვასრულებთ და გვსურს, რომ სეზონში ყველა ჯილდოსთვის ვიბრძოლოთ.

**— ავრაამ გრანტი ამბობს, რომ ტაქტიკაში ბევრი რამ შეიცვალა და ამას გრძნობთ?**

— ცვლილებები არის, მაგრამ თამაშის ხარისხი იგივეა.

**— მაურინიუსგან განსხვავებით, ახალი მწვრთნელი უფრო შემტევ ფეხბურთს ქადაგებს, რაც თქვენთვის მოხერხებული იქნება. შეტევაში მარტო ყოფნა არ მოგიწევთ.**

— ეულ ფორვარდობას მიჩვეული ვარ. „მარსელში" ასე ვიყავი და არ გამჭირვებია. ასევე იყო „ჩელსიშიც". მარტომ გავითქვი სახელი. ნებისმიერ ტაქტიკურ მონახაზში კარგად ვეწერები. მნიშვნელობა არ აქვს, გუნდი ორი თავდამსხმელით ითამაშებს, თუ სამით. ჩემი წარმატება დამოკიდებულია პასებზე, რომელსაც მაწვდიან.

**— ფსიქოლოგიური თვალსაზრისით გრანტმა რა სიახლე მოიტანა?**

— თითოეულ ფეხბურთელს დიდხანს გვესაუბრება და საკუთარი ძალის რწმენას გვინერგავს. პირადად მე ვგრძნობ, რომ მენდობა, რაც ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია.

**— „ჩელსი" ჩემპიონი გახდება?**

— ძალიან ძნელი იქნება ჩემპიონობის მოპოვება, რადგან სეზონის დასაწყისში ძვირფასი ქულები დავკარგეთ. მიუხედავად ამისა, „არსენალთან", „მანჩესტერთან" და „ლივერპულთან" ბრძოლას განვაგრძობთ.

**— პრიმერადივიზიონში ან სერია A-ში თამაში არ გსურთ?**

— ამჟამად მსოფლიოს საუკეთესო ლიგაში ვარ, სადაც საუცხოო ფეხბურთს თამაშობენ. ესპანეთში სულ სხვაა, იქ უფრო ტექნიკას ანიჭებენ უპირატესობას. პრემიერლიგა, თავისი ხიბლითა და ძვირფასი მარკეტინგით, ჩემი აზრით, საწინდარია ადგილია, სადაც ახლა ყოფნა სჯობს. შეხედეთ ჩემპიონთა ლიგის სტატისტიკას — ინგლისური კლუბების კლასზე ეს ტურნირიც მეტყველებს.

**— არაერთ მცველს ეშინია თქვენს წინააღმდეგ თამაში, მაგალითად, ფილიპ სენდეროსს „არსენალიდან". თუ გნებავთ, კიდევ ხუთს დავასახელებ.**

— მხოლოდ ხუთს?

**— და იმათზე რას იტყვით, ვის წინააღმდეგაც თქვენ გიჭირთ?**

— ასეთი ერთია: კოლო ტურე.

**— თქვენი თანაკრებელი...**

— ძალიან ძლიერია და თუ ფორვარდს გამოკიდა, არ მოეშვება. მასთან მეტოქეობა სასიამოვნოცაა, რადგან ვერასოდეს გატეხავ. და კიდევ, ვილიამ გალასი. ჩემი საუკეთესო მეგობარი, ყოფილი ჩელსელი, ვისთანაც ძმასავით ვიყავი.

| XIX ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ბირმინგემი | : | მიდლსბრო |
| ჩელსი | : | ასტონ ვილა |
| დერბი | : | ლივერპული |
| ევერტონი | : | ბოლტონი |
| პორტსმუთი | : | არსენალი |
| სანდერლენდი | : | მანჩესტერი |
| ტოტენჰემი | : | ფულემი |
| ვესტ ჰემი | : | რედინგი |
| უიგანი | : | ნიუკასლი |
| **ხვალ** | | |
| სიტი | : | ბლექბერნი |

# ინგლისი

## მანჩესტერი: ერთი სართულით მაღლა!

**„მანჩესტერს"** პირველ ადგილზე გადასვლის შანსი აქვს, რადგან „არსენალი" გვიან თამაშობს. ალექს ფერგიუსონის გუნდმა სანდერლენდში ქულაც რომ აიღოს, ცხრილის თავში მოექცევა. ბოლო ექვს მატჩში მხოლოდ ერთის მომგები „სანდერლენდი" ქვევით დაეშვა და ახლა მეთვრამეტეზეა, „მანჩესტერმა" კი მიჯრით ოთხ ტურში იმარჯვა. ცხრათვიანი შესვენების შემდეგ ტრავმამოშუშებული ჯი სუნ პარკი დაბრუნდა და შესაძლოა, მწვრთნელმა რაიან გიგზის ნაცვლადაც ათამაშოს. ფერგიუსონმა უელსელი უნდა „დაზოგოს", რადგან „მანჩესტერს" ისევე, როგორც ყველა პრემიერლიგელს, შვიდ დღეში სამი მატჩის გამართვა მოუწევს. ვან დერ სარი დაშავებულია და კარში კვლავ ტომაშ კუშჩაკი იქნება. რიო ფერდინანდი და ოუენ ჰარგრივსი, რომლებმაც „ევერტონთან" შეხვედრა გამოტოვეს, გამოკეთდნენ.

„არსენალს" კი მძიმე მატჩი ელის პორტსმუთში, სადაც უკვე ორი წელია, არ მოუგია. „პორტსმუთმა" ამ სეზონის უმეტესი ნაწილი კარგად ჩაატარა, მაგრამ ბოლოს უკლო და მიჯრით ორი თამაში წააგო. „მეთოფეებს" ყველა ფეხბურთელი ჯანზე ჰყავთ იმ შემადგენლობიდან, რომელმაც „ტოტენჰემს" სძლია. არსენ ვენგერი ალბათ კვლავ არ გარისკავს და რობინ ვან პერსის სასტარტოში არ დააყენებს, მიუხედავად იმისა, რომ ჰოლანდიელი უკვე გამოჯანმრთელებულია.

„ასტონ ვილასთან" მატჩის წინ „ჩელსის" ორი მეკარე დაემტვრა — პეტრ ჩეხი და კარლო კუდიჩინი. ჩეხის თამაში გამორიცხულია, კუდიჩინიმ კი გამოკეთება თუ ვერ მოასწრო, კარში ენრიკე ილარიო ჩადგება. „ჩელსის" ჯონ ტერი და დიდიე დროგბაც დააკლდებიან. „ასტონ ვილას" საქმე კი უკანუკან მიდის, რადგან უკვე ოთხი ტურია, გამარჯვების გემო არ იცის.

შაბათს „პორტსმუთის" მძლეველი „ლივერპული" პრემიერლიგის უსუსტეს „დერბის" ესტუმრება, რომელმაც 18 ტურში 41 გოლის გაშვება მოასწრო და ალბათ რაფაელ ბენიტესის გუნდიც თავის წილად ორსამს მიუმატებს. როტაციის მიმდევარი ესპანელი მწვრთნელი ტრადიციას ამჯერადაც არ უღალატებს და „პორტსმუტთან" ნათამაშებ გუნდს შეცვლის. ძირითად შემადგენლობაში გამოჩნდებიან რაიან ბაბელი, ანდრეი ვორონინი, ფაბიო აურელიო და ლუკასი.

სახლში ცხრავე მატჩის მომგები „მანჩესტერ სიტი" კი შეეცდება, „ბლექბერნის" დამარცხებით თავისი ტრადიცია გააგრძელოს და მეათედ მოიგოს. „ქალაქელების" ნახევარმცველი მაიკლ ჯონსონი ჰყავთ ტრავმირებული, ხოლო ფორვარდი ემილ მპენზა გამოკეთდა. სტივენ აილენდმა სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია მოიხადა და სათამაშოდ მზადაა. „ბლექბერნს" სასჯელის გამო რონი სევიჯი და სტივ უორნოკი დააკლდება. მარკ ჰიუზის გუნდი ცუდ ფორმაშია, რადგან ზედიზედ სამი შეხვედრა წააგო, „სიტისთან" კი, შინ თუ სტუმრად, სამი წელია, არ მოუგია.

ლონდონურ დერბიში „ტოტენჰემი" მასპინძლობს „ფულემს" უმასპინძლებს, რომელსაც დროებით ბილი მაკკინლი თავკაცობს. მან პარასკევს გათავისუფლებული ლორი სანჩესი შეცვალა და „უიგანთან" სადებიუტო მატჩში ფრე გაახერხა. „მამლებს", საყარაუდოდ, ტრავმამოშუშებული დარენ ბენტი, როკარდო როჩა, მაიკლ დოუსონი და ჯერმეინ ჯენასი დაუბრუნდებათ. ოთხეულმა შაბათს „არსენალთან" შეხვედრა გამოტოვა.

**გაგა ხუციშვილი**

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | არსენალი | | 2:2 | 1:0 | 1:0 | | | 3:1 | | | | | | 2:1 | 2:0 | | | 2:1 | 3:2 | 2:0 | 5:0 | 18 | 13 | 4 | 1 | 36:15 | 43 | 9 | 1 | 0 | 23:7 | 28 | 4 | 3 | 1 | 13:8 | 15 |
| 2 | მანჩესტერი | | | 2:0 | | | 2:1 | | | | 2:0 | | 0:0 | 1:0 | | 4:1 | | 2:0 | 1:0 | 4:0 | 4:1 | 18 | 13 | 3 | 2 | 32:9 | 42 | 9 | 1 | 0 | 22:3 | 28 | 4 | 2 | 2 | 10:6 | 14 |
| 3 | ჩელსი | | | | 6:0 | | 1:1 | 1:0 | | | 0:0 | 1:0 | | | | | 3:2 | 0:0 | 2:0 | | | 18 | 11 | 4 | 3 | 25:10 | 37 | 5 | 3 | 0 | 14:3 | 18 | 6 | 1 | 3 | 11:7 | 19 |
| 4 | სიტი | | 1:0 | | | | | | 1:0 | 3:1 | | | 2:1 | | 4:2 | 3:1 | 1:0 | | 1:0 | | 1:0 | 18 | 10 | 4 | 4 | 25:20 | 34 | 9 | 0 | 0 | 17:5 | 27 | 1 | 4 | 4 | 8:15 | 7 |
| 5 | ლივერპული | 1:1 | 0:1 | 1:1 | | | | 4:1 | | | | | | 2:2 | 4:0 | | 0:0 | 2:0 | | | 6:0 | 17 | 9 | 6 | 2 | 31:11 | 33 | 4 | 4 | 1 | 20:6 | 16 | 5 | 2 | 1 | 11:5 | 17 |
| 6 | ევერტონი | | 0:1 | | | 1:2 | | | | | 1:1 | | | | | 2:0 | 3:1 | 3:0 | 7:1 | 2:1 | | 18 | 9 | 3 | 6 | 32:18 | 30 | 5 | 1 | 2 | 19:7 | 16 | 4 | 2 | 4 | 13:11 | 14 |
| 7 | პორტსმუთი | | 1:1 | | 0:0 | 0:0 | 0:0 | | | | | 0:0 | 7:4 | 0:1 | 3:1 | | | | | | | 18 | 8 | 6 | 4 | 29:19 | 30 | 2 | 5 | 1 | 11:7 | 11 | 6 | 1 | 3 | 18:12 | 19 |
| 8 | ასტონ ვილა | 1:2 | 1:4 | 2:0 | 1:1 | 1:2 | 2:0 | 1:3 | | | | 1:0 | | | | | | 2:1 | | | 2:0 | 18 | 8 | 5 | 5 | 29:21 | 29 | 5 | 1 | 4 | 14:13 | 16 | 3 | 4 | 1 | 15:8 | 13 |
| 9 | ნიუკასლი | 1:1 | | | | 0:3 | 3:2 | 1:4 | 0:0 | | | 3:1 | | 3:1 | | | 2:1 | | | 1:0 | 2:2 | 18 | 7 | 5 | 6 | 26:28 | 26 | 5 | 3 | 2 | 16:15 | 18 | 2 | 2 | 4 | 10:13 | 8 |
| 10 | ბლექბერნი | 1:1 | | 0:1 | 1:0 | 0:0 | | 0:1 | 0:4 | 3:1 | | 0:1 | 4:2 | | | | 2:1 | | | | | 18 | 7 | 5 | 6 | 23:25 | 26 | 4 | 2 | 4 | 11:12 | 14 | 3 | 3 | 2 | 12:13 | 12 |
| 11 | ვესტ ჰემი | 0:1 | | | 0:2 | | 0:2 | | | | | | | 1:1 | 1:1 | 3:0 | | | 3:1 | 1:1 | | 17 | 7 | 4 | 6 | 22:15 | 25 | 2 | 3 | 3 | 9:9 | 9 | 5 | 1 | 3 | 13:6 | 16 |
| 12 | რედინგი | 1:3 | | 1:2 | | 3:1 | 1:0 | | | 2:1 | | 0:3 | | | | 1:1 | | | 2:1 | 2:1 | 1:0 | 18 | 6 | 3 | 9 | 24:35 | 21 | 6 | 1 | 3 | 14:13 | 19 | 0 | 2 | 6 | 10:22 | 2 |
| 13 | ტოტენჰემი | 1:3 | | | 2:1 | | 1:3 | | 4:4 | | 1:2 | | | | | | 2:3 | | | 4:0 | 4:0 | 18 | 4 | 6 | 8 | 30:31 | 18 | 3 | 1 | 4 | 19:16 | 10 | 1 | 5 | 4 | 11:15 | 8 |
| 14 | ბოლტონი | | 1:0 | 0:1 | | | 1:2 | | 1:1 | 1:3 | | | 3:0 | 1:1 | | 0:0 | 3:0 | | | 4:1 | | 18 | 4 | 5 | 9 | 21:27 | 17 | 4 | 3 | 3 | 15:9 | 15 | 0 | 2 | 6 | 6:18 | 2 |
| 15 | მიდლსბრო | 2:1 | | 0:2 | | | | | 0:3 | 2:2 | 1:2 | 1:2 | | 1:1 | | | 2:0 | | 2:2 | | | 18 | 4 | 5 | 9 | 17:30 | 17 | 2 | 3 | 4 | 11:15 | 9 | 2 | 2 | 5 | 6:15 | 8 |
| 16 | ბირმინგემი | | 0:1 | | | | | 0:2 | 1:2 | | | 0:1 | 1:1 | | 1:0 | | | | 2:2 | 3:2 | | 18 | 4 | 3 | 11 | 18:30 | 15 | 2 | 2 | 4 | 8:11 | 8 | 2 | 1 | 7 | 10:19 | 7 |
| 17 | ფულემი | | | | 3:3 | | | 0:2 | | 0:1 | 2:2 | | 3:1 | 3:3 | 2:1 | 1:2 | | | | 1:1 | 0:0 | 18 | 2 | 8 | 8 | 19:29 | 14 | 2 | 5 | 3 | 15:16 | 11 | 0 | 3 | 5 | 4:13 | 3 |
| 18 | სანდერლენდი | | | | | 0:2 | | | 1:1 | 1:1 | 1:2 | | 2:1 | 1:0 | | | | 1:1 | | | 1:0 | 18 | 3 | 5 | 10 | 17:34 | 14 | 3 | 3 | 2 | 8:8 | 12 | 0 | 2 | 8 | 9:26 | 2 |
| 19 | უიგანი | | | 0:2 | 1:1 | 0:1 | | 0:2 | | | 5:3 | | | | | 1:0 | | 1:1 | 3:0 | | | 18 | 3 | 4 | 11 | 18:34 | 13 | 3 | 2 | 3 | 11:10 | 11 | 0 | 2 | 8 | 7:24 | 2 |
| 20 | დერბი | | | 0:2 | | | 0:2 | 2:2 | | 1:0 | | 0:5 | | | 1:1 | 0:1 | 1:2 | | | | | 18 | 1 | 4 | 13 | 8:41 | 7 | 1 | 2 | 5 | 5:15 | 5 | 0 | 2 | 8 | 3:26 | 2 |

# იუვემ პირველ წრეს გაუძლო



კლაუდიო რანიერი

**ტურინის** „იუვენტუსს" სეზონის დაწყებამდე ბევრი ალმაცერად უყურებდა, მაგრამ „ბებერმა ქალბატონმა" ჩემპიონატის პირველი ნაწილი იმაზე ბევრად კარგად ჩაატარა, ვიდრე კრიტიკოსების უმეტესობა მოელოდა.

„ბიანკონერომ" სერია A-ში მხოლოდ ორი მატჩი წააგო, შინ „უდინეზესთან" (0:1) და სტუმრად „ნაპოლისთან" (1:3). შეხვედრების ხასიათისა და მსვლელობის მიხედვით, ამ ორი თამაშის არწაგება თავისუფლად შეიძლებოდა. ასე რომ, ტურინელებს შეუძლიათ, იამაყონ, თუნდაც იმიტომ, რომ მთავარ და ისტორიულ კონკურენტებთან არცერთი თამაში არ წაუგიათ — შშობლიურ კედლებში ფრედ ეთამაშნენ „ინტერს", ხოლო გასვლაზე ქულა გაიყვეს „მილანთან", „რომასთან", „ფიორენტინასთან" და „ლაციოს" კი სულაც მოუგეს.

„ბებერმა ქალბატონმა" წელი „სიენასთან" მოგებით დაამთავრა. „იუვე" ლიდერ „ინტერს" 8 ქულით ჩამორჩება და სკუდეტოს მოგების იმედი კიდევ აქვს, მაგრამ გუნდის მწვრთნელი კლაუდიო რანიერი სურათს რეალურად უყურებს.

„ჩვენ სკუდეტოს ვუმიზნებთ, ამას სეზონამდეც ვამბობდი, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი დაცინვით გვიყურებდა. თუმცა მე აქამდეც ვთქვი, რომ მიმდინარე სეზონში „ინტერი" სკუდეტოს თავად თუ დაკარგავს და არა მგონია, ასე მოხდეს. „სიენასთან" იოლად ნამდვილად არ მოგვიგია, მიხარია, რომ ბოლომდე ვიბრძოლეთ და დამსახურებულად ვიმარჯვეთ. მახარებს ტიაგუ მენდეშის კარგი თამაში — მართალია, მთელი 90 წუთისთვის მზად არ იყო, მაგრამ... მშვენივრად ითამაშა სერხიო ალმირონმაც. გუნდს ყველა ნელნელა ეჩვევა და იმედია, იანვრიდან უკეთ ავთამაშდებით. თუ ვინმეს კლუბის დატოვება სურს, ვერ ავუკრძალავ, მაგრამ მთლიანობაში შეკრული გუნდი გვყავს და ეს მახარებს" — აღნიშნა რანიერიმ.

„მეტოქემ ბრწყინვალედ დაიწყო და ბოლომდე ვცდილობდით მდგომარეობის გამოსწორებას, მაგრამ ვერ შევძელით. ცოტა უფრო აგრესიულები უნდა ვყოფილიყავით. ისიც სამწუხაროა, რომ გოლი საკამათო ვითარებაში არ ჩაგვითვალეს. მთლიანობაში კმაყოფილი ვარ, ასე თუ გავაგრძელეთ, კარგი იქნება. ჩვენი მიზანი სერია A-ში დარჩენაა და ამას ნამდვილად შევძლებთ" — თქვა „სიენას" თავკაცმა მარიო ბერეტამ.

**გიორგი ძაძამიძე**



# როდრიგო პალასიო და ჩიგარინი ტურინში?

**იტალიურ** „იუვენტუსს" მრავალ ფეხბურთელს უკავშირებენ. ამბობენ, „ბიანკონერი" იანვარში ერთი-ორი მოთამაშის დამატებას აპირებს. კანდიდატებს შორის „პარმას" ახალგაზრდა ნახევარმცველი ლუკა ჩიგარინი და „ბოკა ხუნიორსის" ვარსკვლავი როდრიგო პალასიო სახელდებიან.

„იუვეს" გარდა ჩიგარინის „ინტერს", „მილანსა" და „ფიორენტინას" უკავშირებენ. იგი დაახლოებით 9 მილიონ ევროდ ფასდება. თუმცა „პარმას" პრეზიდენტის ტომაზო გირარდის თქმით, მისი კლიენტი სეზონის ბოლომდე „ენიო ტარდინიდან" ფეხის მოცვლას არ აპირებს.

„ივნისამდე არსად გადავა. იანვარში ჩიგარინის ტრანსფერი არარეალურია. ჩვენთვის ლუკა მნიშვნელოვანი მოთამაშეა, კლუბთან კონტრაქტი 2012 წლამდე აქვს და მას ასე მარტივად ვერ შევეღევით" — განაცხადა გირარდიმ.

რაც შეეხება 25 წლის პალასიოს, „იუვენტუსში" მის გადასვლაზე საუბარი ჯერ კიდევ ლუჩანო მოჯის დროს იყო. შემტევი ნახევარმცველის მსურველები „სევილია", „ატლეტიკო" და „ბარსელონაც" იყვნენ.

ახლახან გამართულ მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატზე პალასიო მესამე საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. „ბებერი ქალბატონი" მას ვეტერანების, პაველ ნედვედისა და ალექს დელ პიეროს ერთ-ერთ შემცვლელად განიხილავს.

**კოკი კანდელაკი**



# პიერლუიჯი კოლინას ემუქრებიან და იცავენ

**სერია** A-სა და B-ს მატჩებზე მსაჯების დამნიშვნელ პიერლუიჯი კოლინას, რომელიც არცთუ დიდი ხნის წინ მსოფლიოს საუკეთესო არბიტრად იყო აღიარებული, პოლიციამ დაცვა გამოუყო. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ 47 წლის ვიარეჯოელი ბოლო პერიოდში მუქარის წერილებს იღებდა.

შეგახსენებთ, რომ კოლინას ბევრი კრიტიკოსი ჰყავს, მას მსაჯების არასწორ შერჩევას აბრალებენ და სხვადასხვა რაღაცეებშიც ედავებიან. ფეხბურთთან დაკავშირებული მუქარის წერილები კოლინას ალბათ რომელიმე კლუბის ფანებმა გაუგზავნეს. შექმნილი ვითარება პოლიციამ დაცვის გამოყოფისთვის საკმარისად სახიფათოდ მიიჩნია.

„შემაშფოთებელი ამბავია. არ მეგონა, თუ საქმე აქამდე მივიდოდა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რა შეუძლია კოლინას? ერთის ნაცვლად მეორე მსაჯის გაგზავნა ამა თუ იმ მატჩზე? რას ერჩიან და რას აბრალებენ? იმედია, ყველაფერი ცუდი ამით დამთავრდება. კოლინა ბრწყინვალე მსაჯი იყო და ამ პოსტზეც მშვენივრად მუშაობს. მას კარგი იდეები აქვს" — განაცხადა მსაჯების ერთ-ერთმა ყოფილმა დამნიშვნელმა პაოლო კაზარინმა.

**კოკი კანდელაკი**

# ტოტი 160



**„რომამ"** და კერძოდ, მისმა კაპიტანმა ფრანჩესკო ტოტიმ 2007 წელი მშვენივრად ჩაამთავრეს. დედაქალაქელებმა საკუთარი ქომაგების თვალწინ „სამპდორიას" 2:0 მოუგეს, მეორე ადგილი შეინარჩუნეს და ლიდერ „ინტერს" 7 ქულით ჩამორჩებიან. ორივე გოლი ტოტიმ შეაგდო, ვისაც სერია A-ში უკვე 160 ბურთი მოუგროვდა.

„ერ პუპონეს" 20 ოქტომბრის მერე არ გაეტანა, ამაში ტრავმამ შეუშალა ხელი. 160 გოლით ტოტი სერია A-ში ამჟამად მოთამაშე ფეხბურთელებს შორის საუკეთესო მეგოლეა. მეორე ადგილზე ალესანდრო დელ პიეროა, რომელიც მას მნიშვნელოვნად ჩამორჩება. „იუვენტუსის" კაპიტნის ანგარიშზე 141 ბურთია.

„მინდოდა, 2007 წელი რაც შეიძლება კარგად დამესრულებინა და მიხარია, რომ ეს გამომივიდა. დიდი მადლობა ჩემს თანაგუნდელებს, რომლებმაც პენალტის დარტყმის უფლება მომცეს და ბოლოს კარგი საგოლე პასიც გამიკეთეს. იმ გაცდენილი ორი თვის განმავლობაში ძალიან გამიჭირდა. მით უმეტეს, რომ ვხედავდი, თუ რა ბრწყინვალე ფორმაში იყო გუნდი, მე კი ვერ ვთამაშობდი. ტკივილი ცოტათი კიდევ მაწუხებს, მაგრამ ამ წლის ბოლო მატჩში მონაწილეობა აუცილებლად უნდა მიმეღო. იმედია, 2008 წელს კიდევ უფრო სტაბილურად და წარმატებულად ვითამაშებთ. სერია A-ს დასრულებამდე კიდევ დიდი დროა და, წინა სეზონის დარად, ჩვენსა და „ინტერს" შორის სხვაობა ოცქულიანი არ არის. ბოლომდე ვიბრძოლებთ და „ნერაძურის" ამოსუნთქვის საშუალებას არ მივცემთ" — განაცხადა ტოტიმ.

„ჯალოროსის" მწვრთნელი ლუჩანო სპალეტი: „რთული მატჩი გვქონდა და, შესაძლოა სათანადოდ მწვავედ ვერ ვითამაშეთ, მაგრამ მთავარია, მოვიგეთ და ეს დავიმსახურეთ. ვულოცავ ფეხბურთელებს. „სამპდორიამ" რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნა, მაგრამ დონი ბრწყინვალე იყო და გვიხსნა. ფიზიკურად არც ისე ძლიერი გუნდი გვყავს და მარკო კასეტი თამაშში იმიტომ ჩავრთე, რომ შეტევაში უფრო მძლავრად წავსულიყავით. ჯერჯერობით ყველაფერი კარგად მიდის, მაგრამ თუ „ინტერის" დაწევა გვსურს, ოდნავ მეტი უნდა გავაკეთოთ. შანსების გამოყენება უნდა ვისწავლოთ, უფრო შედეგზე ვიყოთ ორიენტირებული და შეცდომების რაოდენობა მინიმუმამდე დავიყვანოთ".

„სამპდორიას" მწვრთნელ ვალტერ მაცარის მატჩზე სულ სხვა აზრი აქვს. იგი მიიჩნევს, რომ მისი გუნდი წაგებას არ იმსახურებდა, ხოლო პენალტი არ უნდა დანიშნულიყო.

| 13076 | ვესტ ბრომვიჩი-ბრისტოლი | 1.70 | 1.90 |
| 13077 | ბარნლი-უენსდი | 1.70 | 1.90 |
| 13078 | კოლჩესტერი-საუთჰემპტონი | 1.70 | 1.90 |
| 13079 | ქოვენთრი-კრისტალ პალასი | 1.70 | 1.90 |
| 13080 | ჰალი-ვულვერჰემპტონი | 1.70 | 1.90 |
| 13081 | ლესტერი-იფსვიჩი | 1.70 | 1.90 |
| 13082 | ნორვიჩი-ჩარლტონი | 1.70 | 1.90 |
| 13083 | პლიმუთი-ქპრ | 1.70 | 1.90 |
| 13084 | პრესტონი-სკანთორპი | 1.70 | 1.90 |
| 13289 | კილმარნოკი-ჰიბერნიანი | 1.60 | 2.00 |
| 13290 | რეინჯერსი-მაზერველი | 1.70 | 1.90 |
| 13291 | დანდი იუნაიტედი-სელტიკი | 1.70 | 1.90 |
| 13292 | ფოლკირკი-ინვერნესი | 1.60 | 2.00 |
| 13293 | გრეტნა-აბერდინი | 1.70 | 1.90 |
| 13294 | ჰართსი-სტ.მირენი | 1.70 | 1.90 |
| 13499 | გრააფსხაპი-ალკმაარი | 1.60 | 2.00 |
| 13500 | ნაიმეგენი-ვენლო | 1.70 | 1.90 |
| 13501 | გრონინგენი-პსვ | 1.60 | 2.00 |
| 13503 | ფეიენოორდი-სპარტა | 1.90 | 1.70 |
| 13504 | უტრეხტი-ექსელსიორი | 1.90 | 1.70 |
| 13505 | ბრედა-ვიტესი | 1.60 | 2.00 |
| 13506 | აიაქსი-ტვენტე | 1.70 | 1.90 |
| 13508 | ჰერაკლესი-ტილბურგი | 1.70 | 1.90 |
| 13509 | როდა-ჰერენვენი | 1.50 | 2.10 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს
(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი დაბრუნდება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14030 | ვესტ ჰემი-რედინგი | 1.70 | 2.20 |
| 14031 | უიგანი-ნიუკასლი | 1.90 | 1.90 |
| 14032 | ბირმინგემი-მიდლსბრო | 1.80 | 2.00 |
| 14033 | ჩელსი-ასტონ ვილა | 1.20 | 2.60 |
| 14036 | ევერტონი-ბოლტონი | 1.45 | 2.40 |
| 14037 | სიტი-ბლექბერნი | 1.75 | 2.10 |
| 14038 | პორტსმუთი-არსენალი | 2.30 | 1.65 |
| 14040 | სანდერლენდი-მანჩესტერი | 2.60 | 1.20 |
| 14042 | ტოტენჰემი-ფულემი | 1.30 | 2.50 |
| 14073 | შეფილდი-ბლეკპული | 1.45 | 2.40 |
| 14074 | უოტფორდი-კარდიფი | 1.45 | 2.40 |
| 14075 | ბარნსლი-სტოკი | 1.85 | 1.95 |
| 14076 | ვესტ ბრომვიჩი-ბრისტოლი | 1.45 | 2.40 |
| 14077 | ბარნლი-უენსდი | 1.70 | 2.20 |
| 14078 | კოლჩესტერი-საუთჰემპტონი | 1.90 | 1.90 |
| 14079 | ქოვენთრი-კრისტალ პალასი | 1.80 | 2.00 |
| 14080 | ჰალი-ვულვერჰემპტონი | 1.85 | 1.95 |
| 14081 | ლესტერი-იფსვიჩი | 1.80 | 2.00 |
| 14082 | ნორვიჩი-ჩარლტონი | 1.95 | 1.85 |
| 14083 | პლიმუთი-ქპრ | 1.65 | 2.30 |
| 14084 | პრესტონი-სკანთორპი | 1.65 | 2.30 |
| 14289 | კილმარნოკი-ჰიბერნიანი | 2.00 | 1.80 |
| 14291 | დანდი იუნაიტედი-სელტიკი | 2.50 | 1.30 |
| 14292 | ფოლკირკი-ინვერნესი | 1.80 | 2.00 |
| 14293 | გრეტნა-აბერდინი | 2.40 | 1.45 |
| 14294 | ჰართსი-სტ.მირენი | 1.45 | 2.40 |
| 14499 | გრააფსხაპი-ალკმაარი | 2.20 | 1.70 |
| 14500 | ნაიმეგენი-ვენლო | 1.45 | 2.40 |
| 14501 | გრონინგენი-პსვ | 2.20 | 1.70 |
| 14504 | უტრეხტი-ექსელსიორი | 1.20 | 2.60 |
| 14505 | ბრედა-ვიტესი | 1.70 | 2.20 |
| 14506 | აიაქსი-ტვენტე | 1.30 | 2.50 |
| 14508 | ჰერაკლესი-ტილბურგი | 1.70 | 2.20 |
| 14509 | როდა-ჰერენვენი | 1.80 | 2.00 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15030 | ვესტ ჰემი-რედინგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15031 | უიგანი-ნიუკასლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15032 | ბირმინგემი-მიდლსბრო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15033 | ჩელსი-ასტონ ვილა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15036 | ევერტონი-ბოლტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15037 | სიტი-ბლექბერნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15038 | პორტსმუთი-არსენალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15040 | სანდერლენდი-მანჩესტერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15042 | ტოტენჰემი-ფულემი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15073 | შეფილდი-ბლეკპული | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15074 | უოტფორდი-კარდიფი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15075 | ბარნსლი-სტოკი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15076 | ვესტ ბრომვიჩი-ბრისტოლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15077 | ბარნლი-უენსდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15078 | კოლჩესტერი-საუთჰემპტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15079 | ქოვენთრი-კრისტალ პალასი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15080 | ჰალი-ვულვერჰემპტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15081 | ლესტერი-იფსვიჩი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15082 | ნორვიჩი-ჩარლტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15083 | პლიმუთი-ქპრ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15084 | პრესტონი-სკანთორპი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15289 | კილმარნოკი-ჰიბერნიანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15291 | დანდი იუნაიტედი-სელტიკი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15292 | ფოლკირკი-ინვერნესი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15293 | გრეტნა-აბერდინი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15294 | ჰართსი-სტ.მირენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15499 | გრააფსხაპი-ალკმაარი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15500 | ნაიმეგენი-ვენლო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15501 | გრონინგენი-პსვ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15504 | უტრეხტი-ექსელსიორი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15505 | ბრედა-ვიტესი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15506 | აიაქსი-ტვენტე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15508 | ჰერაკლესი-ტილბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15509 | როდა-ჰერენვენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16030 | ვესტ ჰემი-რედინგი | 1.34 | 2.80 |
| 16031 | უიგანი-ნიუკასლი | 1.80 | 1.85 |
| 16032 | ბირმინგემი-მიდლსბრო | 1.58 | 2.10 |
| 16033 | ჩელსი-ასტონ ვილა | 1.11 | 5.70 |
| 16036 | ევერტონი-ბოლტონი | 1.23 | 3.60 |
| 16037 | სიტი-ბლექბერნი | 1.45 | 2.45 |
| 16038 | პორტსმუთი-არსენალი | 2.90 | 1.32 |
| 16040 | სანდერლენდი-მანჩესტერი | 4.20 | 1.15 |
| 16042 | ტოტენჰემი-ფულემი | 1.12 | 4.60 |
| 16073 | შეფილდი-ბლეკპული | 1.23 | 3.60 |
| 16074 | უოტფორდი-კარდიფი | 1.23 | 3.60 |
| 16075 | ბარნსლი-სტოკი | 1.70 | 1.95 |
| 16076 | ვესტ ბრომვიჩი-ბრისტოლი | 1.25 | 3.40 |
| 16077 | ბარნლი-უენსდი | 1.34 | 2.80 |
| 16078 | კოლჩესტერი-საუთჰემპტონი | 1.80 | 1.85 |
| 16079 | ქოვენთრი-კრისტალ პალასი | 1.65 | 2.05 |
| 16080 | ჰალი-ვულვერჰემპტონი | 1.75 | 1.85 |
| 16081 | ლესტერი-იფსვიჩი | 1.58 | 2.10 |
| 16082 | ნორვიჩი-ჩარლტონი | 1.85 | 1.80 |
| 16083 | პლიმუთი-ქპრ | 1.30 | 3.00 |
| 16084 | პრესტონი-სკანთორპი | 1.30 | 3.00 |
| 16289 | კილმარნოკი-ჰიბერნიანი | 1.80 | 1.80 |
| 16291 | დანდი იუნაიტედი-სელტიკი | 3.30 | 1.25 |
| 16292 | ფოლკირკი-ინვერნესი | 1.65 | 2.05 |
| 16293 | გრეტნა-აბერდინი | 2.90 | 1.32 |
| 16294 | ჰართსი-სტ.მირენი | 1.23 | 3.60 |
| 16499 | გრააფსხაპი-ალკმაარი | 2.40 | 1.45 |
| 16500 | ნაიმეგენი-ვენლო | 1.25 | 3.40 |
| 16501 | გრონინგენი-პსვ | 2.45 | 1.40 |
| 16504 | უტრეხტი-ექსელსიორი | 1.11 | 5.70 |
| 16505 | ბრედა-ვიტესი | 1.38 | 2.65 |
| 16506 | აიაქსი-ტვენტე | 1.14 | 4.70 |
| 16508 | ჰერაკლესი-ტილბურგი | 1.40 | 2.55 |
| 16509 | როდა-ჰერენვენი | 1.65 | 2.05 |

### გოლი:ლუწი-1ის კენტი-2 (0:0 ითვლება ლუწად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17030 | ვესტ ჰემი-რედინგი | 1.85 | 1.95 |
| 17031 | უიგანი-ნიუკასლი | 1.85 | 1.95 |
| 17032 | ბირმინგემი-მიდლსბრო | 1.85 | 1.95 |
| 17033 | ჩელსი-ასტონ ვილა | 1.85 | 1.95 |
| 17035 | დერბი-ლივერპული | 1.85 | 1.95 |
| 17036 | ევერტონი-ბოლტონი | 1.85 | 1.95 |
| 17037 | სიტი-ბლექბერნი | 1.85 | 1.95 |
| 17038 | პორტსმუთი-არსენალი | 1.85 | 1.95 |
| 17040 | სანდერლენდი-მანჩესტერი | 1.85 | 1.95 |
| 17042 | ტოტენჰემი-ფულემი | 1.85 | 1.95 |
| 17073 | შეფილდი-ბლეკპული | 1.85 | 1.95 |
| 17074 | უოტფორდი-კარდიფი | 1.85 | 1.95 |
| 17075 | ბარნსლი-სტოკი | 1.85 | 1.95 |
| 17076 | ვესტ ბრომვიჩი-ბრისტოლი | 1.85 | 1.95 |
| 17077 | ბარნლი-უენსდი | 1.85 | 1.95 |
| 17078 | კოლჩესტერი-საუთჰემპტონი | 1.85 | 1.95 |
| 17079 | ქოვენთრი-კრისტალ პალასი | 1.85 | 1.95 |
| 17080 | ჰალი-ვულვერჰემპტონი | 1.85 | 1.95 |
| 17081 | ლესტერი-იფსვიჩი | 1.85 | 1.95 |
| 17082 | ნორვიჩი-ჩარლტონი | 1.85 | 1.95 |
| 17083 | პლიმუთი-ქპრ | 1.85 | 1.95 |
| 17084 | პრესტონი-სკანთორპი | 1.85 | 1.95 |
| 17289 | კილმარნოკი-ჰიბერნიანი | 1.85 | 1.95 |
| 17290 | რეინჯერსი-მაზერველი | 1.85 | 1.95 |
| 17291 | დანდი იუნაიტედი-სელტიკი | 1.85 | 1.95 |
| 17292 | ფოლკირკი-ინვერნესი | 1.85 | 1.95 |
| 17293 | გრეტნა-აბერდინი | 1.85 | 1.95 |
| 17294 | ჰართსი-სტ.მირენი | 1.85 | 1.95 |
| 17499 | გრააფსხაპი-ალკმაარი | 1.85 | 1.95 |
| 17500 | ნაიმეგენი-ვენლო | 1.85 | 1.95 |
| 17501 | გრონინგენი-პსვ | 1.85 | 1.95 |
| 17503 | ფეიენოორდი-სპარტა | 1.85 | 1.95 |
| 17504 | უტრეხტი-ექსელსიორი | 1.85 | 1.95 |
| 17505 | ბრედა-ვიტესი | 1.85 | 1.95 |
| 17506 | აიაქსი-ტვენტე | 1.85 | 1.95 |
| 17508 | ჰერაკლესი-ტილბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17509 | როდა-ჰერენვენი | 1.85 | 1.95 |

# იქ, სადაც რაგბი რელიგიაა

## ახალი მუხლი ახალი ზელანდიის კონსტიტუციაში: 2011 წლის მსოფლიო თასის შინ ვერ მომგები ახალი ზელანდიის ნაკრების ყველა წევრი დაისაჯოს სიკვდილით



ენდი მერთენსი 21 წლის კნაჭა ბიჭი იყო, ახალი ზელანდიის ნაკრების 10-ნომრიანი შავი მაისურა რომ გადააცვეს და ხორცსაკეპში შეუშვეს. ერთად ინყებდნენ ის და მთაკაცი ჯონა ლომუ. 1973-მა წელმა უნიჭიერესი მორაგბეები აჩუქა მსოფლიოს — ენდრიუ მერთენსი, ტანა უმაგა, ჯასტინ მარშალი (ახალი ზელანდია), ჯორჯ გრეგანი, მეტიუ ბერკი (ავსტრალია), რაფაელ იბანიესი, ფაბიენ პელუ, ოლივიე მანი (საფრანგეთი), რიჩარდ ჰილი (ინგლისი)... ვეებერთელა ზვირთივით დაეცნენ ისინი 90-იანებში დიდ რაგბის და 2000-იანებშიც იბობოქრეს. მაგრამ მერთენსსა და მის თანამემამულეებს, ისევე, როგორც ახალზელანდიელთა სხვა ნიჭიერ თაობებს, ნაკრებიდან წასვლის შემდეგ უდიდესი იმედგაცრუება გაჰყვათ. ისინი მწვერვალზე იდგნენ, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონები ვერ გახდნენ.

34 წლის მერთენსი ბევრისთვის მტკივნეულ ამ საკითხს დღეს იუმორის ცხრილში ატარებს და ამბობს, თუ 2011 წელს შინაც ვერ გავხდით ჩემპიონები, ნაკრების ყველა წევრმა ხარაკირი უნდა გაიკეთოსო. ახალი ზელანდიის ყველა დროის საუკეთესო მეჭულე კარგა ხანია, „ოლ ბლექსში" აღარ თამაშობს, კარიერის ბოლო წლებს ფრანგულ კლუბ „ტულონში" ტკბილად ატარებს ძველ მტერმოყვარეებთან, გრეგანთან და უმაგასთან ერთად. ამ ლეგენდების კბილა, ასევე 73-იანი გია ლაბაძე ხალისით დაგვეხმარა ხალისიან ახალზელანდიელთან ინტერვიუს გაკეთებაში

*ენდრიუ მერთენსი*
*(ახალი ზელანდია)*
*დაიბადა 1973 წლის 28 აპრილს სამხრეთ აფრიკის ქალაქ დურბანში*
*სიმაღლე: 178 სმ*
*წონა: 89 კგ*
*ამპლუა: გამთამაშებელი (10 ნომერი)*
*დებიუტი ნაკრებში: 1995 წლის 22 აპრილი*
*მსოფლიოს თასზე უთამაშია ორჯერ: 1995 და 1999 წლებში, 1995 წლის ვიცეჩემპიონი*
*სულ: 10 მატჩი, 1 ლელო, 25 გარდასახვა, 33 ჯარიმა, 3 არეკნი, 163 ქულა*
*საერთო სანაკრებო მონაგარი: 72 მატჩი, 7 ლელო, 172 გარდასახვა, 195 ჯარიმა, 10 არეკნი; 944 ქულა*
*1996, 1997 1999 — 2002 წლებში მოიგო სამი ერის პირველობა*
*კლუბები: „ქენთებრი" (1993-1996) — 105 მატჩი, 1056 ქულა; „კრუზეიდერსი" (1996-2005) — 87 მატჩი, 981 ქულა; „ჰარლექვინსი" (ინგლისი) (2005-06) — 32 მატჩი, 318 ქულა; „ტულონი" (2007)*
*ზე-14-ის ოთხგზის ჩემპიონი:*
*1996 — „კრუზეიდერსი"*
*1997 — „კრუზეიდერსი"*
*1999 — „კრუზეიდერსი"*
*2002 — „კრუზეიდერსი"*
*მეტსახელი: მერთსი*

## ენდრიუ მერთენსი ანუ საფრანგეთში მოკლული ურჩხულის მხიარული ჭირისუფლის შეგონება: ქართველებო, ითამაშეთ, ითამაშეთ, ითამაშეთ!



— როგორი გრძნობაა, როდესაც ორი მსოფლიოს თასის მონაწილე ამ ტურნირს ქომაგის თვალით უყურებ?

— სამი წელია, ნაკრებში აღარ ვარ და შეგუებული ვიყავი, რომ მსოფლიოს თასს ტრიბუნიდან ვნახავდი. სულ სხვა ყოფილა, როდესაც ამ, უმაღლესი რანგის ტურნირს ქომაგის თვალით უყურებ. როდესაც თამაშობ, მთლიანად მატჩში ხარ ჩართული, ბურთისა და მეტოქის გარდა ვერაფერს ხედავ, ახლა კი ბევრ რამეს დავაკვირდი, მაგრად ვისიამოვნე, ბევრი დიდი მატჩი ვნახე და ბევრი ახალი აღმოვაჩინე.

— დიდი მატჩები რომელი იყო?

— საფრანგეთი — არგენტინის ორივე მატჩი კლასიკა იყო, ფიჯი — უელსი ესთეტიკური თრილერი, ისევე, როგორც საფრანგეთი — ახალი ზელანდიის მეოთხედფინალი. საფრანგეთი — ინგლისის ნახევარფინალი კი ქრესტომათია იყო. ფინალი სანახაობრივად არ გამოვიდა, სამაგიეროდ, ტაქტიკური ბრძოლა იყო უმაღლეს დონეზე. ჩემი აზრით, მსაჯს ინგლისელებისთვის აშკარად ჩასათვლელი ლელო რომ არ გაეუქმებინა, ბოლო ათი წუთი რაგბის ზეობა იქნებოდა. ეს, რაც შეეხება დიდი გუნდების მატჩებს, სხვათაგან კი აშშ-მ და ტონგამ ნამდვილი სპექტაკლი დადგეს, მათი ლაღი და შემტევი თამაშის ცქერა ერთი სიამოვნება იყო, ირლანდია — საქართველო კი ზღაპრული ჯახი გამოვიდა, კარგი სცენარისტი და რეჟისორი გულისამაჩუყებელ დრამას გადაიღებდა.

— ამ მსოფლიოს თასზე რომელი ნაკრები მიგაჩნიათ აღმოჩენად?

— ასეთები ულაპარაკოდ საქართველო და პორტუგალია იყვნენ. ორივე ძლიერ ჯგუფში მოხვდა, მაგრამ თავი კი არ შეირცხვინეს, პირიქით, მთელი მსოფლიო აალაპარაკეს. პორტუგალიამ ახალ ზელანდიას, იტალიას, შოტლანდიას და რუმინეთს გაუტანა ლელო და ბოლომდე ეომა, საქართველომ კი, ჩემი აზრით, პატარა სასწაული მოახდინა და რაგბიში მცირე რევოლუციას ჩაუყარა საფუძველი. სწორედ ქართველების და პორტუგალიელების დამსახურებაა, რომ მომავალ მსოფლიოს თასზე გუნდების შემცირების იდეამ ბევრი მომხრე დაკარგა და ტურნირის ფორმატი აღარ შეიცვალა.

— თქვენი აზრით, საქართველოს ნაკრებს ახლა ყველაზე მეტად რა სჭირდება?

— დიდ გუნდებთან მეტი ტესტის თამაში. გია ლაბაძისგან ვიცი, რომ ახლა თქვენს ნაკრებში თაობათა ცვლა იწყება და ლიდერების უმეტესობა სანაკრებო კარიერას ასრულებს. თუმც ისიც ვიცი, რომ აქ, საფრანგეთში ბევრი ახალგაზრდა ქართველი თამაშობს და რეზერვი არსებობს. მთავარია, მომავალ მსოფლიოს თასამდე გუნდი ჩამოყალიბდეს და რაც შეიძლება მეტი მატჩი ითამაშოს ძლიერ ნაკრებებთან. ამ მსოფლიოს თასის შემდეგ გრანდები არა, მაგრამ იტალია, შოტლანდია, ფიჯი და ამათი დარი გუნდები დათანხმდებიან ტესტ-მატჩებს და ეს თქვენი ნაკრების პროგრესს დააჩქარებს.

— როგორ ფიქრობთ, როდის შეძლებს საქართველოს ნაკრები იტალიის ან შოტლანდიის დამარცხებას?

— ჩემი აზრით, საქართველო ამ მსოფლიოს თასზეც შეძლებდა იტალიის დამარცხებას, იქნებ შოტლანდიისთვისაც მოეგო... თქვენი პრობლემა პატარა გუნდებისთვის ტრადიციული სენია — თაობათა მტკივნეული ცვლა და დიდ გუნდებთან თამაშის პრაქტიკის არქონა. ამ ყველაფერს ბოლოს გამოცდილებასთან მივყავართ. თუ საქართველო შეძლებს სეზონში ოთხი-ხუთი კარგი ტესტ-მატჩის თამაშს, მაშინ იტალიას სამ-ოთხ წელიწადში გაუთანაბრდება და ელიტაშიც მოხვდება.

— შეგიძლიათ თქვათ, რომ წლევანდელი მსოფლიოს თასი გამორჩეული იყო?

— რა თქმა უნდა, ვთქვი კიდეც, რომ წლევანდელი მსოფლიოს თასის ყურებით დიდად ვისიამოვნე. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, უინტერესო მატჩებმა მინიმუმამდე იკლო. ახალი ზელანდია, სამხრეთ აფრიკა, ავსტრალია, ინგლისი, საფრანგეთი რომ არ ჩავთვალოთ, დანარჩენი გუნდების დონე გათანაბრდა და უსაშველო სხვაობა აღარ არის. ცალკე თემაა არგენტინა, ფიჯი და ტონგა. არგენტინა უკვე

ელიტარული ნაკრებია და თანამედროვე რაგბიში ახალი სტილი შემოიტანა. ამით რაგბი კიდევ უფრო გამდიდრდა და ხიბლი შემატა ფიჯის ყურება კი ერთ რამედ ღირდა. ასეთი ეშხიანი, ეგზოტიკური გუნდი ნებისმიერ ტურნირს დაამშვენებს. ტონგა კი წლიდან წლამდე იზრდება — აკი დაიბევა კიდეც ადგილი მომავალ მსოფლიოს თასზე, რომელიც, იცით, ახალ ზელანდიაში გაიმართება. ამას იმიტომ ვუსვამ ხაზს, რომ ფიჯი, ტონგა და სამოა ჩვენთან უფრო კომფორტულად გრძნობენ თავს, ვიდრე ევროპაში. თუ მათ სწრაფ პროგრესს გავითვალისწინებთ, მომდევნო მსოფლიოს თასზე ბევრად ძლიერად ითამაშებენ.

— და რას იზამს ახალი ზელანდია სამშობლოში, გახდება ჩემპიონი?

— თუ ეს არ მოხდა, 1991 წლიდან მოყოლებული, 2011 წლის ჩათვლით, ნაკრების ყველა თაობელი უნდა ჩამწკრივდეს და ხარაკირი გაიკეთოს. ჩემს ქვეყანაში ახლა ხუმრობენ, რომ კანონში ცვლილებებს შეიტანენ: თუ 2011 წელს ახალი ზელანდია ჩემპიონი ვერ გახდა, ნაკრების ყოველი წევრი სიკვდილით დავსაჯოთო.

— სერიოზულად რომ ვთქვათ...

— სერიოზულად კი დროა, „ოლ ბლექსმა" 1987 წელი გაიმეოროს. მაშინდელი ნაკრების წევრთა უმეტესობამ გასამრჯელოს გამო ქვეყნის რაგბის კავშირს ბოიკოტი გამოუცხადა. მსოფლიოს თასზე მოყვარულმა პროვინციალებმა ითამაშეს და ჩემპიონებიც გახდნენ! ოღონდ ახლა ბოიკოტის და მწვრთნელი არ მომწონსო, ამის დრო აღარ არის. გუნდი უნდა შეიკრას და მეტოქეებს შავი დღე აყაროს. საქმე ალალად უნდა გააკეთონ, თანაც ახლა სამშობლოში მოუწევთ თამაში და იქ წაგებას არავინ აპატიებთ. ჩვენთან რაგბი რელიგიის დონეზეა.

— აქამდე რა ჭირდა ახალ ზელანდიას — თითქმის ყველა მსოფლიოს თასზე უმთავრეს ფავორიტად მიიჩნევდნენ, მაგრამ 1987 წლის შემდეგ თასის მოგებამდე სულ ერთი ნაბიჯი აკლდება...

— ჩვენ ყოველთვის გვაკლდა პრაგმატიზმი, რასაც მეტოქე კარგად იყენებდა. ასე იყო ახლაც, არადა, ვფიქრობდი, მწვრთნელი გრემ ჰენრი ევროპაში ნამუშევარია, საკმაო გამოცდილება აქვს და ევროპულ პრაგმატიზმს ჩვენს სტილს მოარგებს-მეთქი. შევცდი, საფრანგეთთან მეოთხედფინალური მატჩის ბოლო წუთებზე ჩვენებმა ოცდაათფაზიანი შეტევა გადაბეს, კარამდე ხუთი მეტრი იყო, კარში კი არა და არ დაარტყეს. არადა, ორ ქულას აგებდნენ. ერთი არეკნი ან ჯარიმა რომ გაეტანათ, მოიგებდნენ, ნახევარფინალშიც გავიდოდნენ და მერე მათი გამჩერებელი არავინ იყო. სწორედ ეს გვღუპავდა ყოველთვის. მაინცდამაინც ლელო უნდა გაგვეტანა და უკანმოუხედავად შეგვეტია. იმედია, გრემ ჰენრი ამ მწარე გაკვეთილს გაითვალისწინებს და მომავალი მსოფლიოს თასისთვის რომანტიკულ რაგბის ცოტაოდენი პრაგმატიზმით შეაზავებს.

— როდის იყო ახალი ზელანდია ყველაზე ახლოს ჩემპიონობასთან?

— წლევანდელ მსოფლიოს თასზე. ჩვენებს გუნდი კი არა, გუნდი-მონსტრი ჰყავდათ, მაგრამ...

— გული არ გწყდებათ, რომ ბოლო ორ მსოფლიოს თასზე ვერ ითამაშეთ?

— მე ორჯერ, 1995 და 1999 წლების მსოფლიოს თასზე ვითამაშე. პირველად ფინალი წავაგეთ, მეორედ კი ნახევარფინალი. 2003 წელსაც გულით მინდოდა ნაკრებში და თასზე თამაში, ასაკიც შესაბამისი მქონდა, ფორმის პიკში ვიყავი, მაგრამ მწვრთნელმა ჯონ მიტჩელმა ამითვალწუნა.

— რატომ?

— არ ვიცი. ჩემთვის არაფერი უთქვამს. ისე, მიტჩელს მე კი არა, ნახევარმა ქვეყანამ ვერაფერი გაუგო. რაღაც ჩაკეტილი, სიტყვაძუნწი კაცია. თუ გინდათ, ტელეფონის ნომერს მოგცემთ, დაურეკეთ და ჰკითხეთ, რატომ არ წამიყვანა 2003 წლის მსოფლიოს თასზე. იქნებ თქვენ მაინც აგიხსნათ მიზეზი.

— წლევანდელ მსოფლიოს თასზე არ გსურდათ თამაში?

— როდესაც მიტჩელმა ნაკრებს ჩამოაშორა, გული გამიტყდა. 2003 წლის მსოფლიოს თასის შემდეგ ნაკრებში დავბრუნდი, ტესტებიც ვითამაშე, მაგრამ ვიგრძენი, ძველებურად ველარ ვთამაშობდი. თანაც ევროპულმა კლუბებმა სარფიანი კონტრაქტები შემომთავაზეს და გადავწყვიტე, კარიერა ევროპაში გამეგრძელებინა. ახალზელანდიური ტრადიციით კი, ლეგიონერებს ნაკრებში არ იძახებენ. მეც ისეთი ასაკი მქონდა, დრო იყო, მომავალზე მეზრუნა და ცხოვრება ისე მომეწყო, კარიერის დასრულების შემდეგ ოჯახი უზრუნველყოფილი მყოლოდა. ამიტომ სამშობლოში დაბრუნება აღარ მიცდია, ევროპაში დავრჩი და ამით სანაკრებო კარიერაც დავასრულე. ეს ჩემი არჩევანი იყო და გული არ მწყდება.

— არც ზე-14-ში დაბრუნებას აპირებთ?

— არა, „ტულონში" თავს ბედნიერად ვგრძნობ, აქ რაგბის დიდი სიამოვნებით ვთამაშობ. კარგი კონტრაქტი მაქვს და აქეთ-იქით სიარულს აღარ ვაპირებ. ვფიქრობ, რომ კარიერას შესანიშნავ გუნდში, ძალიან მაგარი ბიჭების გვერდით დავასრულებ.

— მათ შორის გია ლაბაძეცაა?

— რა თქმა უნდა, გია ძალიან საყვარელი ტიპია, საიმედო და მხიარული მეგობარი. თანაც გუნდში უდიდესი ავტორიტეტი აქვს, ჩვენ მხიარულ დუეტს გვეძახიან, თანაგუნდელებს რაღაც ხრიკებს ვუწყობთ და ვხალისობთ.

— ასეთს რას აკეთებთ?

— ბევრი მეთოდი გვაქვს. ჯორჯ გრეგანი გაწვალებული მყავს, ბუცში ბანანს ვუდებ, ხან ხმას შეცვლილი, დაფარული ნომრით ვურეკავ, ტერორისტი ვარ და თუ ფულს არ მოიტან, აგაფეთქებ-მეთქი. უნდა ნახოთ, რა დაფეთებული დადის. გრეგანს ჩემსავით გოლფის თამაში უყვარს და ყოველთვის ვუგებ. ერთი სიტყვით, მაგარ ტერორში მყავს.

— არ ბრაზდება?

— არა, ჩვენ ძმაკაცები ვართ. გრეგანს 16 წლიდან ვიცნობ. აქედან მოყოლებული, ყველა ასაკობრივ ნაკრებში მეტოქეები ვიყავით, მოედანზე ერთმანეთს არ ვინდობდით, მაგრამ მოედნის მიღმა დავმეგობრდით. ახლა კი სულაც ერთ გუნდში ვართ, ნახევარდაცვის დუეტს ვქმნით და ერთმანეთის უსიტყვოდ გვესმის.

— გოლფის თამაში მიყვარსო, თქვით. გოლფის გარდა, კიდევ რით ერთობით?

— „სონი-ფლეისთეიშენზე" რაგბის თამაში მიყვარს. აქ ხომ მაინც ვხდები მსოფლიოს ჩემპიონი. როდესაც ჩემი გოგონა წამოიზრდება, მას უნდა ვეთამაშო, იქნებ კონკურენცია გამიწიოს.

— რა ხნისაა თქვენი შვილი?

— ჯერ არ მყავს, თებერვალში ველოდები. ერთი სული მაქვს, როდის გაირბენს ეს დრო.

— კომპიუტერული თამაშისას 10 ნომრად საკუთარ თავს აყენებთ?

— არა, ძირითად შემადგენლობაში გრანტ ფოქსი დგას, ჩემი თავი შეცვლაზე შემყავს. ფოქსი ჩემი კერპია, თამაშის სტილით მას ვბაძავდი, სწორედ იგი იყო იმ ახალი ზელანდიის ლიდერი, რომელიც 1987 წელს მსოფლიოს ჩემპიონი გახდა.

— ყველა დროის საუკეთესო მორაგბედ ვის მიიჩნევთ?

— ვერავის გამოვარჩევ... რაგბი წლიდან წლამდე ვითარდება და სტილი იცვლება, ყველა თაობას ჰყავდა თავისი ლეგენდა, მაგრამ რომ ვთქვა, საუკეთესოთა შორის საუკეთესოა-მეთქი, ასეთი მორაგბე არ არსებობს. მე ბედნიერი ვარ, რომ ნაკრებში ტანა უმაგას, ჯონა ლომუს, კრისტიან ქალენის, რუბენ სორნის და ჯასტინ მარშალის მხარდამხარ ვთამაშობდი. თვითონ ეს გუნდი იყო ლეგენდა... საუცხოო მეგობრობა გვქონდა და გვაქვს. ჯასტინ მარშალი სულაც ჩემი მეჯვარეა.

— გია ლაბაძისგან ვიცი, რომ მგზავრობისას წიგნებს კითხულობთ...

— კითხვა ძალიან მიყვარს, გამორჩეულად კი ცნობილი ადამიანების ბიოგრაფიებს, პოლიტიკურ და საომარი სტრატეგიის წიგნებს ვკითხულობ. ნელსონ მანდელას ბიოგრაფია ზეპირად ვიცი. შეიძლება ითქვას, ის ჩემი იდეალია.

— ალბათ ისტორიული ფილმების ყურება გიყვართ?

— უფრო ბლოკბასტერები მომწონს. „ბეჭდების მბრძანებელი" რამდენჯერმე ვნახე, თანაც ამ ფილმს ახალ ზელანდიაში იღებდნენ და გადასაღებ მოედანზეც ვყოფილვარ. ამ პროცესმა ისე ჩამითრია, ვოცნებობ, რომელიმე ბლოკბასტერში გადამიღონ.

— ბოლოს: თუ საიდუმლო არ არის, საახალწლოდ რა სურვილს ჩაიფიქრებთ?

— ჩემმა მეუღლემ მშვიდობიანად იმშობიაროს და შემდეგ ახალ წელს გოგონასთან ერთად შევხვდეთ.

**ბაჩო სვანიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა





ეროვნული ბიბლიოთეკა




მეჯიქ ჯონსონმა „ჰიუსტონს“ განაჩენი გამოუტანა

# ამხელა რაკეტა ქვამ ჩამოაგდო

ისედაც შეჭირვებულ და გამარჯვებანაკლულ „ჰიუსტონს“ ქვა კი არა ქვები მიეწია აღმართში — კვირას „დეტროიტთან“ გასვლით მატჩში რამდენიმე წუთის ინტერვალით დაემტვრა ორივე ლიდერი და სუპერვარსკვლავი ტრეისი მაკგრეიდი და იაო მინი.

მაკგრეიდმა მუხლი შუა კვირაში „ორლანდოსთან“ იტკინა, რის გამოც ერთი თამაში გამოტოვა და „დეტროიტთან“ თითქოს დასვენებული და კარგად მომზადებული გავიდა მოედანზე, მაგრამ მალე ტრავმა გაიმიზეზა და გაურკვეველი ვადით ჩაეწერა ტრავმირებულთა სიაში. ამ სეზონის 25 მატჩში ის საშუალოდ 22,8 ქულას, 4,7 მოხსნასა და 5,1 პასს აკეთებდა და მისი შედეგიანობა შედარებით მაღალიც იქნებოდა, წვრილმან ტრავმებს რომ არ შეეწუხებინა.

არანაკლები დანაკლისია იაო მინიც. ჰიუსტონელი „რაკეტების“ 27 წლის და 226-სანტიმეტრიანმა ჩინელმა ცენტრმა „დეტროიტთან“ მატჩის მესამე მეოთხედში მარჯვენა ხელის ცერი იტკინა. მინი საშუალოდ 21,4 ქულის, 10,6 მოხსნის და 2,3 დაფარების მკეთებელი კაცია.

ჰიუსტონელებს თითქოს თავის განცდები არ ეყოფოდათ, 80-იანი წლების ლეგენდარულმა კალათბურთელმა მეჯიქ ჯონსონმა ცეცხლზე ნავთი დაუსხა და მაკგრეიდ-მინის დუეტს წარუმატებელის სტატუსი მიაკერა. ეგ გუნდი გაცილებით მეტს მიაღწევს, თუ მაგ ორი ლიდერიდან ერთ-ერთს სხვა გუნდში გაცვლიან.

„ეგ წყვილი ვერ მუშაობს სათანადოდ. თუ ყველაფერი ძველებურად დარჩება, „რაკეტები“ ტრადიციულად პლეი ოფის პირველი წრიდან გამოფრინდებიან — არწმუნებს მეჯიქი მავანი ბოსტონური გაზეთის მკითხველებს — მაგალითად მოვიტან „დენვერთან“ თამაშს, როცა მაკგრეიდიმ ტრავმა მიიღო და აღარ ცდილობდა ბურთის დიდხანს ჭერას. შედეგად გუნდი შეტევაში გაცილებით სწრაფად და მობილურად ამოძრავდა. ესაა ამ გუნდის პრობლემა — როცა მაკგრეიდი და მინი ერთად არიან მოედანზე, მათი გუნდის თამაში საერთოდ იყინება.“

**კოტე ყორშია**

# ხარი ხართან ვერ დააბეს
## ჩიკაგოს თავი აღარ ჰყავს

სეზონი რომ იწყებოდა, „ჩიკაგო ბულზის“ შეფებმა გუნდს მკაფიო ამოცანა დაუსახეს: აღმოსავლეთის ჩემპიონობა.

რეგულარული ჩემპიონატი ჯერ შუამდეც არ მისულა და პლეი ოფამდე დიდი დრო რჩება. შესაძლოა, „ჩიკაგომ“ შეძლოს ამოცანის შესრულება და აღმოსავლეთში იჩემპიონოს, მაგრამ ამას უკვე ახალი თავკაცით ეცდება, რაკი ორშაბათს ძველი გუნდიდან დაითხოვეს.

„ხარები“ რამდენიმე წელია ასე უსუსურები არ ყოფილან. საწყის 25 მატჩში 16 მარცხი და აღმოსავლეთში მე-13 ადგილი რომელ ქირისუფალს ალაფრთოვანებს, როცა მწვერვალების დაპყრობაზე იყო საუბარი?

ჰოდა, როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე, განტევების ვაცის და უმუშევრის სტატუსი მწვრთნელ სკოტ სკაილზს ერგო. ბოლო წვეთი იყო ზედიზედ ოთხი თამაშის წაგება. შეფებმა სკაილზი გაუშვეს, მისი შემცვლელი კი ჯერ არ დაუსახელებიათ.

„რაღაც მოხდა გუნდში. არ ვიცი, ჩვენი, მოთამაშეების ბრალია თუ მწვრთნელის, მაგრამ ყველა ვგრძნობდით, რომ ყველაფერი მწყობრში ვერ იყო“ — მხრებს იჩეჩს გუნდის ლიდერთაგანი ლუოლ დენგი.

„მე უკმაყოფილო ვარ თამაშის ხარისხით. გუნდი მოუნდომებელი და ინერტულია და ეს იყო საჩქარო და აუცილებელი ნაბიჯი“ — თქვა „ბულზის“ გენერალურმა მენეჯერმა ჯიმ პაქსონმა.

სკაილზი 2003 წლიდან მუშაობდა „ჩიკაგოში“. მან შუა რეგულარულში შეცვალა ბილ კარტრაიტი და იმ სეზონის ასე თუ ისე ჩარიხინების შემდეგ გვარიანად გამოაცოცხლა 6 წელი უპლეიოფოდ მოთამაშე გუნდი. „ჩიკაგოში“ მას 165 მოგება და 172 წაგება დაუგროვდა.

**კოტე ყორშია**


სკოტ სკაილზი „ჩიკაგოდან“ გაუშვეს

## კვირის მოთამაშეები

**დასავლეთი**
კარმელო ენტონი (დენვერი)

**აღმოსავლეთი**
ჯო ჯონსონი (ატლანტა)





სალათას ძილიდან გამოღვიძებულმა „ატლანტა ჰოქსმა“ სერიოზული განაცხადი გააკეთა პლეი ოფში მოხვედრაზე, როდესაც ზედიზედ ოთხი თამაში მოიგო და აღმოსავლეთ კონფერენციაში მეოთხე ადგილზე ალზევდა. ასეთი აქტიურობა ამ გუნდისგან 1999 წლის შემდეგ არ შეინიშნებოდა. ამიტომ ახლა არავის გაჰკვირვებია, როცა გასული კვირის აღმოსავლეთის საუკეთესო მოთამაშედ სწორედ ატლანტელი ჯო ჯონსონი ამოარჩიეს. ზედიზედ 4 გამარჯვებიდან „ქორებმა“ 3 გასულ კვირაში ჩაიწერეს, ჯომ კი ამ გამარჯვებებში საშუალოდ 28,0 ქულა და 7,3 პასი ჩადო.

უხვქულიანი კვირის რჩეული ჰყავს დასავლეთს კონფერენციასაც. „დენვერ ნაგიტსს“ სასწაულები არ უქნია, სამიდან ორი თამაში მოიგო და ერთიც იმ „პორტლენდთან“ წააგო, რომელსაც ბოლო ხანს ვერავინ ვერ უგებს. „დენვერის“ ლიდერმა და კვირის რჩეულმა კარმელო ენტონიმ კი მოგებულებშიც და წაგებულებშიც სულ ცოტა, 30 ქულა და 12 მოხსნა გაახერხა. „ჰიუსტონთან“ მან 37 ქულა და 16 მოხსნა გაშანსა და ამ სეზონში ალბათ ეს იყო მისი საუკეთესო თამაში. ყოველ შემთხვევაში, 203-სანტიმეტრიანი მსუბუქი ფორვარდისგან 16 მოხსნა მართლაც დიდი მოულოდნელობაა.

**კვირის სიმბოლური ხუთეული („სარბიელის“ ვერსია): ჯო ჯონსონი (ატლანტა), ბრენდან როი (პორტლენდი), კარმელო ენტონი (დენვერი), დირკ ნოვიცკი (დალასი), კრის ბოში (ტორონტო)**





# თევზაძეს შვედები ელოდებიან

თურქეთში საქართველოს ნაკრებს სხვა წამყვან მოთამაშეებთან ერთად მთავარი მეკარე შოთა თევზაძეც არ ახლდა. მიზეზი ის იყო, რომ შოთა შვედურ „მალმიოსთან“ მოლაპარაკებებს აწარმოებს და სკანდინავიაშიც უნდა გამგზავრებულიყო, მაგრამ ბოლო მომენტში სავიზო პრობლემების გამო ეს ვერ მოახერხა.

„მალმიო“ უმაღლეს ლიგაში შარშან გადავიდა და ამჟამად სატურნირო ცხრილში მე-10 ადგილზეა. შეგახსენებთ, რომ ჩვენი ნაკრების გოლკიპერი საზღვარგარეთ ბოლოს თურქულ „პოლის აკადემიაში“ თამაშობდა, წლეულს საქართველოს ჩემპიონატის პირველი წრე „სტუ-ფელავთან“ ერთად ჩაამთავრა და ახლა კარგი შანსი აქვს, ევროპის ერთ-ერთ ძლიერ ლიგაში, წავიდეს სათამაშოდ.

„შვედეთში სავიზო პრობლემების გამო ვერ გავემგზავრე, თან მათ ჩემპიონატში წლეულს მხოლოდ ერთი ტური დარჩენილი და ლამის ჩემი ჩასვლისთანავე გუნდი საახალწლო შესვენებაზე გადიოდა. ამიტომაც იქ იანვრის ბოლოს გავემგზავრები. თავიდან პირდაპირ კონტრაქტს მთავაზობდნენ, თუმც მერე რომ გაიგეს, საქართველოს ჩემპიონატში გამოვდივარ და ახლა, დიდი ხანია, არ მითამაშია, თავი შეიკავეს და სინჯებზე დამიბარეს. 20 იანვარს „ჩელენჯ-ტროფის“ ფინალს ვითამაშებ და ამის შემდეგ შვედეთში ჩავალ. „მალმიოს“ გარდა, რუმინული ვარიანტიც მქონდა, მაგრამ სკანდინავიური გუნდი ვარჩიე“ — გვითხრა შოთა თევზაძემ.

**ლექსო მაისურაძე**



# გაბორიკის კვირა

ორდღიანი საშობაო შესვენების გამო NHL-ში ცხოვრება კი ჩაკვდა, მაგრამ არც ისე, რომ ოკეანის გაღმიდან არანაირი ცნობები არ მოვიდეს. საშაბათს ლიგამ, ტრადიციულად, გასული კვირის საუკეთესო მოთამაშეები დაასახელა და პირველ ვარსკვლავად მინესოტელი „ველურების“ სლოვაკი ფორვარდი მარიან გაბორიკი მიიჩნიეს, რომელმაც „რეინჯერსთან“ 6:2 მოგებულ მატჩში ფანტასტიკური შედეგი აჩვენა — ხუთი შაიბა თავად გაიტანა და მეექვსეშიც დაიდო წილი.

ერთ მატჩში ხუთი გოლი ბოლოს რუსმა სერგეი ფიოდოროვმა გაიტანა 1996 წლის 26 დეკემბერს, როდესაც მისმა მაშინდელმა გუნდმა „დეტროიტმა“ 5:4 დაამარცხა „ვაშინგტონი“, ოღონდაც ფიოდოროვმა მეხუთე შაიბა ოვერტაიმში გაიტანა. რაც შეეხება ძირითად დროში გატანილ ხუთ გოლს, ბოლოჯერ ეს ლეგენდარულმა მარიო ლემიემ შეძლო 1996 წლის 26 მარტს, როდესაც მისმა „პიტსბურგმა“ 8:4 დაჯაბნა „სენტ ლუისი“.

გარდა „რეინჯერსის“ კარში გატანილი ხუთი გოლისა, გაბორიკმა გასული კვირის სხვა ორ მატჩში ერთი გოლი და ერთი პასიც მითვალა და სრულიად სამართლიანად აღიარეს კვირის მოთამაშედ.



მეორე და მესამე ვარსკვლავებად ატლანტას“ ფინელი მეკარე კარი ლეჰტონენი და „ნეშვილის“ ცენტრი ჯეისონ არნოტი დასახელდნენ. „ატლანტამ“ გასულ კვირაში ოთხიდან ოთხივე მატჩი მოიგო და ამ შეხვედრებში ლეჰტონენი, საშუალოდ, 1,96 გოლს უშვებდა და დარტყმათა 93,5 პროცენტს იგერიებდა. რაც შეეხება არნოტს, მან გასულ შვიდდღეულში 8 (4+4) ქულა დააგროვა.

**კახა ლომაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნასახლარზე ვარდი ამოვიდა



**საქართველოს** სპორტულ ცხოვრებაში სასიამოვნო ტრადიცია გრძელდება: ქალაქსა თუ სოფელში, რაიონსა თუ დაბაში, სპორტული დარბაზები სოკოებივით იზრდება. ოზურგეთის, სენაკის, ქუთაისის, დუშეთის და ვინ მოსთვლის, კიდევ რამდენი ქალაქისა თუ სოფლის შემდეგ უმაღლესი რანგის სპორტული კომპლექსი ფასანაურშიც გაიხსნა.

გუშინ დუშეთის კურორტ-ადგილას ხალხმრავლობა იყო. ადგილობრივები ხომ მრავლად შეკრებილიყვნენ და ფასანაურის ცენტრში დედაქალაქიდანაც უამრავი სტუმარი ჩავიდა. ფასანაურის მთავარ ადგილას, სადაც კომუნისტების დროს კინო იყო და მას შემდეგ ეს შენობა მიტოვებული და ათასი გარყვნილების ბუდედ ქცეულიყო, ადგილობრივი ხელისუფლების ძალისხმევით უმაღლესი დონის სპორტული სარბიელი გაკეთდა. ყველასგან მიტოვებულ შენობას პატრონი არ ჰყავდა, ფასანაურის კინოს ნასახლარში სრული სიბნელე სუფევდა — ამიერიდან კი იქ ძიუდოს სკოლა იფუნქციონირებს და როგორც ფასანაურიდან, ასევე მეზობელი სოფლებიდან სამასამდე ბავშვს გაუხსნის გზას დიდი სპორტისკენ.



დუშეთის რაიონის გამგებლის, გოდერძი ბერბერაშვილისა და საქართველოს სპორტის დეპარტამენტის ერთობლივი ძალისხმევით ფასანაურის კლუბი სპორტულ კომპლექსად გადაიქცა. დეპარტამენტის თავმჯდომარემ, დავით ნამგალაურმა, ფასანაურელებს ძიუდოს ორი ტატამი საჩუქრად გადასცა. ადგილობრივმა ბიზნესმენებმაც გამოიღეს ხელი და საქართველოში კიდევ ერთი სოლიდური საჭიდაო კერა შექმნა.

გუშინ ფასანაური: ძიუდოს სკოლა საზეიმოდ გაიხსნა და იქ პირველი ვარჯიში ცნობილმა მოჭიდავემ, ივერი ჯიქურაულმა ჩაატარა. ამიერიდან კი ფასანაურის სკოლას ადგილობრივი ტყუპი ძიუდოისტები — ზაზა და ზურაბ მელიქიშვილები — გაუძღვებიან.

**ირაკლი პერტაია**

**ბადრი ქეთილაძის ფოტოები**





ეროვნული ბიბლიოთეკა

# საშობაოდ

საშობაოდ, ოკლენდის ხელმოკლე ოჯახები ჩამოუვლია „გოლდენ სთეით ვორიორზის“ სტივენ ჯაკსონს და ნორჩებისთვის საჩუქრები გადაუცია. კარგი საქციელია.



AFP



AFP

# სანია მებრძოლი

ინდოელი ჩოგბურთელი სანია მირზე მუმბაის ნავსადგურში, იახტაზე უზის თავის მორიგ ფოტოსესიას. ნესტოში ბრილიანტგაყრილი, მრავალპრისინგიანი სანია ინდოელი გოგოების ნამდვილი კერპია, რადგან თამამად არღვევს ისლამურ ტრადიციებს და მუსლიმ ქალებს უფლებათა გაფართოებისკენ უბიძგებს. მეორე მხრივ კი, ის ისლამისტების გულისწყრომას იმსახურებს.

# ლიგის გოგოები





AFP

ფრენბურთის საკლუბო ჩემპიონთა ლიგის თამაშები ყოველთვის ფიცხელია. „დელა მარტინუსს“ სამ პარტიაში დაუმარცხებია „აუსტრან“ პოსტი. ნახეთ იქაური გოგოები, რა კოხტად ბლოკავენ პოსტელი იანა მიტაცოვას დარტყმულს.

# ისევ ჩხუბი

მორიგი ჩხუბია და მსაჯიც მოკრივეთა ჩაცხრომას ელის. სენტლუისელი ჯამალ მაიერს დეტროიტელ დალას დრეიკთან გაუგებრობა მოსწევია.





AFP





AFP

# ბრიუსელის კროსი

ბრიუსელის საშობაო კროსი წლეულს ბელგიელმავე ვეერლე დეჟაეგერმა მოიგო. ჩვეულებრივ, ეს კროსი ძნელი სარბენია, ვინაიდან 23 დეკემბერს მიწა მშრალი არასდროს არის ხოლმე.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი იქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ისხარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ფორფოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასაარიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ჯაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გიორგი ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, თამაზ მიგრიაული, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, გრიგოლ ხვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბაჩო კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლელა ბეგლარიშვილი, ლიანა ბეხელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა ლოგრიაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქანქლაძე, ზურაბ წერეთელი
სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge